პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1949 წ. № 251 (8554). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის

## იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავია.

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს მშობლიურ დიდ სტალინს!



იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ნახატი საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძისა

## ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურების მოწყობაში, აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის საქმეში მისი განსაკუთრებული დამსახურების გამო ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 20 დეკემბერი.

## ამხანაგ სტალინს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს

ძვირფასო მეგობარო, მებრძოლო ამხანაგო, მასწავლებელო და ბელადო!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, მხურვალედ მოგესალმებიან შენ, ლენინის დიდ თანამებრძოლსა და მეგობარს, მისი უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს, კომუნიზმის დაუღალავ მშენებელს, ჩვენს ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს!

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, ქმნიდი ბოლშევიკების პარტიას, ლენინთან მჭიდრო თანამეგობრობით ამუშავებდი ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, აწრთობდი პარტიას მშრომელთა განთავისუფლებისათვის მკაცრ ბრძოლებში, გადააქციე იგი მსოფლიოში ყველაზე მძლავრ რევოლუციურ პარტიად. უშიშარ რევოლუციონერს, გენიალურ თეორეტიკოსს, დიდ ორგანიზატორს, შენ ლენინთან ერთად გადაჭრით და გაბედულად, მტკიცედ და ფრთხილად მიგყავდა პარტია, მუშათა კლასი შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ლენინთან ერთად შენ, ამხანაგო სტალინ, იყავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში შენმა ორგანიზატორულმა და მხედართმთავრულმა გენიამ საბჭოთა ხალხი და მისი გმირი წითელი არმია სამშობლოს მტრებზე გამარჯვებამდე მიიყვანა. შენი, ამხანაგო სტალინ, უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა უდიდესი მუშაობა ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების შესაქმნელად, ერთიან საკავშირო სახელმწიფოში — სსრ კავშირში მათ გასაერთიანებლად.

როცა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი ლენინის სიცოცხლე, შენ, ამხანაგო სტალინ, მაღლა ასწიე ლენინის სახელოვანი დროშა, გაბედულად და მტკიცედ წაიყვანე ჩვენი პარტია ლენინის გზით. ბოლშევიკების პარტია, რომელიც ძლიერია ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით, იკაფავდა კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარემოცულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზას, რომელიც ჯერ კიდევ გაუკვალავი იყო ისტორიაში.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ლენინურ თეორიას, რომელიც შენ, ამხანაგო სტალინ, განავითარე და გაამდიდრე. სოციალიზმის მტრები, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის მტრები ამაოდ ცდილობდნენ აეცდინათ ჩვენი პარტია ლენინურ-სტალინური გზიდან, გაეთიშათ იგი შიგნიდან, მოესპოთ მუშათა კლასისათვის თავისი ძალების, სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის რწმენა. შენ ულმობლად ამხელდი ხალხის მტრების ავაზაკურ, დანაშაულებრივ ცდებს—იდეურად განეიარაღებინათ პარტია, დაემსხვრიათ მისი ერთიანობა, დაეღუპათ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური რევოლუცია. გამცემლებისა და სოციალიზმის საქმის მოღალატეების წინააღმდეგ, ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში შენს გარშემო, ამხანაგო სტალინ, ჩამოყალიბდა ჩვენი პარტიის ის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც დაიცვა ლენინის უძლეველი დროშა, უფრო მჭიდროდ შეაკავშირა კომუნისტური პარტია და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შენს მიერ შემუშავებულ დიად პროგრამას ახორციელებს, ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი უმოკლეს ისტორიულ ვადაში მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია. შენს სახელთან დაკავშირებულია ხუთწლედების მძლავრი სოციალისტური მშენებლობანი, ინდუსტრიის გიგანტები, მრეწველობის ახალი დარგები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

შენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, 1929 წელს სოფლად მოხდა ისტორიული გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური გადატრიალების თანაბარი იყო. კომუნისტურმა პარტიამ გაატარა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შედეგად საბჭოთა სოფელში დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ცხოვრება, რომელმაც მშრომელი გლეხობა იხსნა მონობისაგან, გაჩანაგებისა და სიღატაკისაგან.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, საყვარელი სტალინის მეთაურობით, საბჭოთა კავშირი გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფო, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც სოციალიზმი ააშენა, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შექმნა კრიზისებისა და უმუშევრობისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. სსრ კავშირის კონსტიტუციამ, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია, განამტკიცა სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, გახდა მიმზიდველი ძალა, შუქურა მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის.

საბჭოების ქვეყნის არსებობის უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. განავითარე რა ლენინიზმი, შენ მიხვედი გენიალურ დასკვნამდე ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ და კომუნიზმის დროს სახელმწიფოს შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამ დასკვნამ პარტიასა და ხალხს მისცა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელი პერსპექტივა.

შენს სახელთან, ამხანაგო სტალინ, დაკავშირებულია რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის—ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა. წინათ ჩაგრულმა ერებმა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში მიაღწიეს უმაგალითო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას. შენს მიერ შთაგონებული სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა რევოლუციის დიადი მონაპოვარი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი წყარო გახდა. სოციალიზმის გამარჯვებით უძლეველი გახდა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ჩვენი ხალხი გამსჭვალულია მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ სტალინს — დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობს

(დასასრული)

პატრიოტიზმით. შენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ სსრ კავშირში ნამდვილი კულტურული რევოლუცია განახორციელა.

თვითეულ დიდსა თუ მცირე გარდაქმნაში, რომელიც უფრო და უფრო ამაღლებს ჩვენს სამშობლოს, შენ ჩააქსოვე შენი სიბრძნე, დაუცხრომელი ენერგია, რკინისებური ნებისყოფა. ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენი ხალხის ბედნიერებაა, რომ დიდი სტალინი, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელია, წარმართავს და აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ასაყვავებლად. შენი წინამძღოლობით, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირი გადაიქცა დიდ და უძლეველ ძალად.

როცა ჰიტლერულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირს თავს მოახვია ომი და ჩვენს სამშობლოს დაემუქრა მომაკვდინებელი საფრთხე, შენ, ამხანაგო სტალინ, სათავეში ჩაუდექი საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლას ფაშიზმის—კაცობრიობის უბოროტესი მტრის წინააღმდეგ, დარაზმე ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი სამამულო ომისათვის, აღაფრთოვანე საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ლეგენდარული საქმეებისა და გმირობისათვის. ლენინ-სტალინის პარტიამ გააერთიანა ფრონტისა და ზურგის ღონისძიებანი. შენმა მხედრულმა და ორგანიზატორულმა გენიამ მოგვიპოვა გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე.

დიდმა მხედართმთავარმა და გამარჯვების ორგანიზატორმა, შენ, ამხანაგო სტალინ, შექმენი მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ბრძოლებში, რომლებსაც შენ ხელმძღვანელობდი, განხორციელებულია სამხედრო ოპერატიული და სტრატეგიული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. შენ მიერ აღზრდილი პირველხარისხოვანი სამხედრო კადრები ღირსეულად ახორციელებდნენ მტრის განადგურების სტალინურ გეგმებს. ყველა პატიოსანი ადამიანი მსოფლიოში, ყველა მომავალი თაობანი ხოტბას შეასხამენ საბჭოთა კავშირს, შენს სახელს, ამხანაგო სტალინ, როგორც ფაშისტ დამრბევთაგან მსოფლიო ცივილიზაციის მხსნელისას.

ომისშემდგომ პირობებში, ხელმძღვანელობს რა შენი მითითებებით, მთელმა საბჭოთა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ინიციატივა მიმართა ომის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ, სოციალიზმის ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაკენ, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. სოციალისტური შეჯიბრების ლენინურ-სტალინური იდეები საბჭოთა პატრიოტებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, მათ უდიდესი ენერგია გააღვიძეს მილიონობით საბჭოთა ადამიანების გულში დიადი მიზნის — კომუნიზმის გამარჯვების განსახორციელებლად.

უდიდესი სიმტკიცითა და შორსმჭვრეტელობით წარმართავ შენ, ამხანაგო სტალინ, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, იბრძვი დიდი და მცირე ხალხების მშვიდობისა და უშიშროებისათვის. განუზომლად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი სსრ კავშირისა, როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენისა. კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელები შენში ხედავენ მშვიდობისათვის ერთგულ და მტკიცე მებრძოლს და ყველა ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესების დამცველს. მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის გულში შენ აღანთე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის სამართლიანი საქმის ურყევი რწმენა.

საბჭოთა კავშირმა შენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტ დამმონებელთაგან, კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლისაგან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა განთავისუფლებაში. ამ ქვეყნების ხალხები გამსჭვალული არიან მადლობის გრძნობით შენდამი იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი მათ უწევს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

მეცნიერების დიდო კორიფევ! შენი კლასიკური ნაშრომები, რომლებიც ავითარებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ახალი ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის შესაბამისად, კაცობრიობის უდიდეს კუთვნილებას, რევოლუციური მარქსიზმის ენციკლოპედიას წარმოადგენენ. ამ ნაწარმოებებში საბჭოთა ადამიანები და ყველა ქვეყნის მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები იძენენ ცოდნას, რწმენას, ახალ ძალებს მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, პოულობენ პასუხს კომუნიზმისათვის თანამედროვე ბრძოლის ყველაზე მწვავე საკითხებზე. შენი ნაშრომები ნაციონალურ-კოლონიურ საკითხზე ბრწყინვალე შუქურასავით ანათებენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების გიგანტური წარმატებანი გაცისკროვნებულია ლენინურ-სტალინური რევოლუციური აზრით.

კომუნიზმის დიდო ხუროთმოძღვარო! შენ ყველა ბოლშევიკს ასწავლი უდიდეს მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ნაკლოვანებათა გაბედულ კრიტიკას და აფრთხილებ, რომ არ შეიძლება თავი დაიმშვიდონ მიღწეულით, თვითკმაყოფილებას მიეცნენ წარმატებათა გამო. შენ გვასწავლი, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ქმედითი იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტიული და საბჭოთა კადრების განუყრელი ღირსება უნდა იყოს ბოლშევიკური თავმდაბლობა, გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ხალხის საჭიროებისადმი, მაღალი იდეურობა და პრინციპულობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! შენ მუდამ გვასწავლიდი და გვასწავლი ჩვენ, ბოლშევიკებს, ვიყოთ ისეთნი, როგორიც იყო დიდი ლენინი, ძალების დაუზოგავად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ყველაფერს ვაკეთებდეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა შენში ხედავენ მასწავლებელსა და ბელადს, ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს. სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასია ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის. სტალინის სახელი—ეს არის კომუნიზმის მომავალი გამარჯვების სიმბოლო. საბჭოთა ადამიანებისა და მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა გული აღსავსეა მხურვალე სიყვარულით შენდამი—დიდო სტალინ!

დიდი ბედნიერებაა, რომ ვცხოვრობთ და შემოქმედებითს მუშაობას ვეწევით ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, ვეკუთვნით ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ადამიანების გმირ თაობას, რომლებიც სტალინურ ეპოქაში იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სტალინის ხელმძღვანელობით!

სულითა და გულით გისურვებთ შენ, ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო საუკეთესო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს საერთაშორისო სტალინური პრემიები „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

პრემიები მიენიჭებათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეებს, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი განსხვავებისა, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

2. დაწესდეს, რომ საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოებული პირები იღებენ:

ა) საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომს;

ბ) ოქროს სამკერდე მედალს ი. ბ. სტალინის გამოსახულებით;

გ) ფულად პრემიას 100 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დაწესდეს, რომ მინიჭება საერთაშორისო სტალინური პრემიებისა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ხდება ყოველ წელიწადს 5-10 პრემიის რაოდენობით საერთაშორისო სტალინური პრემიების სპეციალური კომიტეტის მიერ, რომელსაც ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთაგან.

4. პრემიების მინიჭება მოხდეს ყოველი წლის 21 დეკემბერს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების დღეს.

პირველი პრემიები მინიჭებულ იქნას 1950 წელს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1949 წ. 20 დეკემბერი.

მოსკოვი, კრემლი

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე, გულითად სალამს გითვლით თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს, ყველა ქვეყნის მშრომელთა მამასა და მასწავლებელს, თქვენი სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს.

მთელი თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა მუშათა კლასის საქმისათვის, მისი ამაღლებისათვის თავდადებული ბრძოლაა, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის დიად საქმეთა მატიანეა, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების მატიანეა.

გენიალურ ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო სტალინ, შექმენით და გამოზარდეთ ბოლშევიკების მძლავრი პარტია, ახალი ტიპის პარტია, რომელიც დგას თავისი ისტორიული ამოცანის — კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლებისა და კომუნიზმის აშენების ამოცანის სიმაღლეზე.

ლენინთან ერთად თქვენ წინ წაიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და უზრუნველყავით მათი გამარჯვება კაპიტალისტებსა და მემამულეებზე 1917 წლის ოქტომბერში.

ლენინთან ერთად თქვენ მოაწყეთ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა, გაანადგურეთ ჩვენი სამშობლოს შინაური და გარეშე მტრები, განამტკიცეთ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი.

ლენინიზმის ყველა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენ დაიცავით მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდე, განავითარეთ და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეთ ეს მოძღვრება კომუნიზმისათვის ბრძოლის ახალ პირობებში.

თქვენ შეიმუშავეთ და გააშუქეთ ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა მხარე. თქვენ შეჰქმენით ისტორიაში უმაგალითო ძმური მეგობრობა ჩვენი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით.

თქვენ ჩაუნერგეთ საბჭოთა ადამიანებს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა და სათავეში ჩაუდექით მათ ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. თქვენმა გენიამ, ურყევმა ნებისყოფამ და ბრძნულმა შორსმჭვრეტელობამ უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება.

თქვენი სახელოვანი ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ღირსეულად დაიცვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება სტალინური სამხედრო მეცნიერების ზეიმი, თქვენი, ამხანაგო სტალინ, სტრატეგიული და მხედართმთავრული გენიის უდიდესი ზეიმი გახდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები თქვენი ბრძნული წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლაში, ენერგიასა და ძალას მატებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. უდიდესი მადლიერებისა და იმედის გრძნობით შემოგყურებს თქვენ მთელი კაცობრიობა, ვინაიდან თქვენ ხართ მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი მეგობარი.

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს, რომელსაც დიდი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა კავშირის ხალხები და სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ყველა მებრძოლი მთელ მსოფლიოში, საქართველოს ბოლშევიკები და მთელი ხალხი მტკიცე, ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევენ, ამხანაგო სტალინ, კვლავაც თავდადებულად იბრძოლონ ყველა თქვენი მითითების შესრულებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საბედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს—ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ცოცხლობდეს და მრავალ წელს დღეგრძელობდეს ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი და ბრძენი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი!

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# ალბომი „ი. ბ. სტალინი საქართველოს მხატვრების ნაწარმოებებში“

საქართველოს მხატვრულ ნაკეთობათა სახელმწიფო ტრესტმა გამოსცა ალბომი „ი. ბ. სტალინი საქართველოს მხატვრების ნაწარმოებებში. 1949 წ.“.

ალბომში მოთავსებულია საქართველოს მხატვრების ფერწერისა და სკულპტურული ნამუშევრების 47 რეპროდუქცია. მათ შორისაა ნამუშევრები საქართველოს სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძისა „ამხანაგ სტალინის პორტრეტი“, მხატვარ ქ. მაღალაშვილისა „გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი“, მხატვარ ს. მაისაშვილისა „ქალაქ გორის ხედი“, მხატვარ გ. მესხისა „ბელადის დედა“, მხატვარ ს. ქობულაძისა „ბათუმის დემონსტრაცია 1902 წელს“, მხატვარ შ. მაყაშვილისა „სტალინი და ბერია გლეხებს ესაუბრებიან წყალტუბოში“, მხატვარ ი. ვეფხვაძისა „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სხდომა“, მხატვარ ვ. შერპილოვისა „ამხანაგი სტალინი კრეისერ „მოლოტოვზე“ 1947 წელს“, მოქანდაკე ი. ოქროპირიძისა „სტალინი უკითხავს ლექსს „დილას“ ილია ჭავჭავაძეს“, საქართველოს სახალხო მხატვრის მოქანდაკე ი. ნიკოლაძისა „დიადი ჭაბუკი“, მოქანდაკე ს. კაკაბაძისა „სტალინი ჭაბუკობაში“ და სხვ. (საქდესი).

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თქვენი დაბადების სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ—სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს გენიალურ ხელმძღვანელს.

თქვენი ცხოვრების 50 წელზე მეტი თქვენ მოახმარეთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს. ლენინთან ერთად თქვენ შექმენით ჩვენი გმირული კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ახალი ტიპის პარტია, სოციალისტური რევოლუციის პარტია.

ლენინთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის სათავეში მდგომმა, თქვენ რუსეთის მუშათა კლასი, ხოლო მასთან ერთად ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მთელი მასები მიიყვანეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე. ლენინთან ერთად თქვენ შექმენით მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ხალხთა ძმური მეგობრობის ცოცხალი განსახიერებაა და სახელმწიფო ორგანიზაციის ისეთ სისტემას წარმოადგენს, სადაც ნაციონალური საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია ისე, როგორც ისინი ვერ გადაწყდება ვერცერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ თქვენ შეამჭიდროვეთ პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და დარაზმეთ ხალხის ძალები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის შემდგომ საბრძოლველად. ახალი ისტორიული ეპოქის პირობებში თქვენ, ამხანაგო სტალინ, განავითარეთ და გაამდიდრეთ ლენინიზმი. თქვენ ყოველმხრივ დაასაბუთეთ ლენინური მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, დაუსახეთ ჩვენს ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენების ფართო პერსპექტივა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

თქვენი ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ გაანადგურა ხალხის უბოროტესი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ გადაეღობათ მისთვის სოციალიზმის გზა, გადაყარა ისინი ისტორიის სანაგვეზე.

თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია სოციალისტური საზოგადოების აშენება, ჩატარებულია უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გარდაქმნანი, რომლებმაც ძირეულად შეუცვალეს ჩვენს სამშობლოს ეკონომიური, სოციალური და სულიერი სახე. საბჭოთა კავშირი მოკლე ისტორიულ ვადაში აგრარული და ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მსოფლიოს მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე მილიონობით წვრილი გლეხური მეურნეობა გადაყვანილია მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების გზაზე.

თქვენ ხართ შემოქმედი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონისა, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია, ვინაიდან იგი წარმოადგენს საბჭოთა ხალხის მიერ თქვენი ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიად გამარჯვებათა კრებულს. საბჭოთა სახელმწიფოში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოა, სამუდამოდ მოსპობილია ექსპლოატატორული კლასები და აღმოფხვრილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ადამიანის პიროვნება სსრ კავშირში განთავისუფლებულია ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის ყველა ბორკილისაგან, ხალხი სარგებლობს სოციალისტური წყობილების სიკეთით, წყობილებისა, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა და რომელიც უზრუნველყოფს ყველა მშრომელის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ აღმავლობას. სტალინური კონსტიტუცია ჩვენს ხალხს აიარაღებს მორალურად და პოლიტიკურად კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ გამოიჩინეთ თავი როგორც გენიალურმა სამხედრო სტრატეგმა და ყველა დროისა და ხალხის უდიდესმა მხედართმთავარმა. მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე თქვენ დარაზმეთ საბჭოთა ხალხები ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენი სახელით, რომელიც მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმსა და ჩვენი მართალი საქმის გამარჯვების უსაზღვრო რწმენას ასახიერებს, გმირმა საბჭოთა არმიამ ხერხემალი გადაუმტვრია ჰიტლერელ მხეცს, განდევნა იგი ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრებიდან და ბოლო მოუღო მას მისსავე ბუნაგში.

თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ უმოკლეს ხანში აღადგინა სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე და გადააჭარბა მას, მიაღწია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან გადიდებას, თავისი სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ახორციელებს რა თქვენს მითითებებს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მოწყობის შესახებ, საბჭოთა ხალხი მტკიცედ და წარმატებით განაგრძობს სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზას, რომელიც ომმა შეწყვიტა.

საბჭოთა კავშირი თქვენი ხელმძღვანელობით გადამწყვეტ ბრძოლას ეწევა ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, სათავეში უდგას ანტიიმპერიალისტურ ბანაკს, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს. თქვენმა ბრძნულმა და თანმიმდევრულმა საგარეო პოლიტიკამ დიდად აამაღლა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, განამტკიცა იგი როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დასაყრდენი.

თქვენი გენიალური ხელმძღვანელობა წარმმართველი და მაორგანიზებელი საწყისია, ჩვენი სახელმწიფოს სულიერი ძალის წყაროა. თქვენს სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყველა მონაპოვარი, რომლებსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. თქვენი სახელი ბრძოლის დროშა და ჩვენი გამარჯვების სიმბოლოა, იგი განასახიერებს საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მთელი ძალების ერთიანობას.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია მსოფლიოს ყველა პატიოსან და თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა იმედები და მისწრაფებანი მათს ბრძოლაში ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის.

მთელი თქვენი თავდადებული, მრავალმხრივი და კეთილშობილური მოღვაწეობით თქვენ მოიპოვეთ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და მთელი მოწინავე პროგრესული კაცობრიობის მხურვალე სიყვარული, უდიდესი პატივისცემა და უსაზღვრო მადლობა.

აღნიშნავს რა თქვენი დაბადების სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის დღეს თქვენს განსაკუთრებულ დამსახურებას საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს თქვენდამი მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულისა და მადლობის გრძნობას, მოგესალმებათ თქვენ, ჩვენს დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, და სულითა და გულით გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლეს და მუშაობას საბჭოთა კავშირის ხალხების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

1949 წ. 20 დეკემბერი.

# ახალი გამოცემა გ. ლეონიძის ეპოპეისა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახლიტგამმა გამოსცა გიორგი ლეონიძის ეპოპეა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, წიგნი 1-ლი.

წიგნის რედაქტორია თ. აბაშიძე. წიგნი დაასურათა მხატვარმა ს. კეცხოველმა, ტირაჟია 7.000 ეგზემპლარი. (საქდესი).

# გუშინ გორში

**გორი** (სპეც. კორ.). ქალაქში დიდი გამოცოცხლებაა. მოასფალტებულ ქუჩებში ლაღად მისრიალებენ ავტომანქანები. ავტობუსებს რკინიგზის სადგურიდან უფრო და უფრო მეტი მგზავრი მოჰყავთ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმისაკენ.

ერთმანეთზე მიყოლებით ჩაიარა თერთმეტმა მსუბუქმა ავტომანქანამ — „პობედამ“. ეს მანქანები ეკუთვნით ბელადის სახლის სანახავად ზუგდიდის რაიონიდან მოსულ კოლმეურნეებს — სოციალისტური შრომის გმირებსა და ორდენოსნებს. ავტომანქანის კარი რამდენიც გაიღება — იმდენჯერ შემოგვანათებს თვალებში ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და ურო“.

ერთ-ერთი მანქანიდან გამოდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნეობა „ინგირის“ მერგოლური ქსენია სარსანია, მეორედან—ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია, მესამედან... და ასე ჩამწკრივდნენ სოციალისტური შრომის გმირები, სახელოვანი მეჩაიეები — ვ. თორდია, ი. ქანთარია, ვ. მაქაცარია, ქ. ლებედენკო. აქვეა საბჭოთა კავშირის გმირი შ. ჩილაჩავა.

ზუგდიდელები ბელადის სახლთან მოვიდნენ ახალი წარმატებებით, ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. წელს ქ. სარსანიას რგოლმა 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 365 ცენტნერი ჩაი მოკრიფა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170 ცენტნერისა; მისი ვალდებულებაა მომავალ წელს ამავე ფართობიდან 500 ცენტნერი ჩაი მოკრიფოს. თამარ ყუფუნია სიხარულით გვიამბობს, რომ მის ბრიგადაში 11 კოლმეურნე სოციალისტური შრომის გმირია, ხოლო 14—ლენინის ორდენოსანი.

„მხოლოდ სტალინურ ეპოქაშია შესაძლებელი, — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში ქ. სარსანიამ, — უბრალო გლეხის ქალი ამაღლდეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემდე, გახდეს საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი. დიდება და ხანგრძლივი სიცოცხლე ამ დიადი ეპოქის შემოქმედს— მშობლიურ სტალინს“.

ბელადის სახლში შედიან გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეები, შემდეგ მათ მიჰყვებიან აზერბაიჯანელი რკინიგზელები, ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ერევნელი მეცემენტეები... და ასე დაუსრულებლად მოედინება ხალხი ამ სანუკვარსათაყვანო სახლში.

ექსკურსანტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ საზეიმოდ მორთულ ქალაქ გორის ყოველ კუნჭულს. ისინი ხედავენ ქალაქის შესასვლელთან როგორ ბრწყინავს წარწერა: „დიდება დიდ სტალინს!“ ისინი ხედავენ როგორ ფრიალებენ სამშობლოს დროშები ყოველ შენობაზე. ისინი ხედავენ როგორ მოიქროლა ველომოტოგადარბენის მონაწილე 60-მა სპორტსმენმა, რომელთაც ჰქონდათ წარწერა: „თბილისი—გორი“. ექსკურსანტები შენობათა ფასადებზე ხედავენ ამხანაგ სტალინის უზარმაზარ პორტრეტებს და თავიანთ ფიქრებსა და გრძნობებს, თავიანთ საუკეთესო სურვილებს მიმართავენ მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის საყვარელი ადამიანის სადღეგრძელოდ.



პროლეტარიატის დიდი ბელადები მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი.

# დიდი ბელადი და მასწავლებელი

გმირი საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელნი, მთელი მოწინავე, პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებით აღნიშნავენ გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით მიესალმება თავის ბელადსა და მასწავლებელს საბჭოთა ხალხი, რომელიც ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობით დგას მთელი კაცობრიობის ავანგარდში. სულით და გულით ადიდებენ ამხანაგ სტალინს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. მხურვალე სალამს უთვლის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდი ჩინელი ხალხი. გულთბილად ულოცავენ ამხანაგ სტალინს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი, კოლონიათა ხალხები, ყველა ექსპლოატირებული და ჩაგრული, რომელთათვისაც დიდი სტალინის სახელი განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშაა, ბედნიერი და ნათელი მომავლის იმედია.

ამხანაგ სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის აღმაფრთოვანებელი მაგალითია. „მუშათა კლასის ამაღლებისა და ამ კლასის სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,—ჩემი მუშაობის ყოველი ნაბიჯი რომ მიმართული არ ყოფილიყო მუშათა კლასის მდგომარეობის განმტკიცებისა და გაუმჯობესებისაკენ, ჩემს სიცოცხლეს უმიზნოდ ჩავთვლიდი".

მშრომელთა განთავისუფლებისათვის თავისი ბრძოლის პირველივე ნაბიჯებიდან ამხანაგი სტალინი განიმსჭვალა ლენინის რევოლუციური გენიისადმი უსაზღვრო რწმენით, დაინახა მასში მებრძოლი მარქსისტული რევოლუციური პარტიის ბელადი და მასწავლებელი, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, მთის არწივი, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში და გაბედულად მიუძღვის პარტიას წინ, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გაუკვალავი გზებით. ამხანაგი სტალინი გახდა დიდი ლენინის ერთგული მოწაფე, უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. ლენინსა და სტალინს შორის დამყარდა დიდი და გულთბილი მეგობრობა. რევოლუციის გენიოსთა ამ თანამეგობრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აშენებდა და ჭედდა მძლავრ ბოლშევიკურ პარტიას. ლენინთან ერთად ამხანაგ სტალინს პარტია და მუშათა კლასი მიჰყავდა ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყებისაკენ 1917 წლის ოქტომბერში. ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი ურყევ საფუძველს უყრიდა საბჭოთა სახელმწიფოს, ხელმძღვანელობდა პარტიისა და ხალხის ბრძოლას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. ლენინი და სტალინი ერთად ამუშავებდნენ ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის გეგმებს.

ახალი ტიპის რევოლუციურმა მოღვაწემ ამხანაგმა სტალინმა თავისი მუშაობით გააერთიანა თეორიული სიძლიერე და პროლეტარული მოძრაობის პრაქტიკულ-ორგანიზაციული გამოცდილება. ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი ამუშავებს ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, ხდება ლენინის მთავარი დასაყრდენი და უახლოესი თანამებრძოლი ბოლშევიკების პარტიის მშენებლობასა და განმტკიცებაში და მთელი მისი მუშაობის ხელმძღვანელობაში. გადაიტანა რა უმაგალითო გაჭირვება, სიძნელე და დევნა ცარიზმის მხრივ, პროფესიონალი რევოლუციონერი ამხანაგი სტალინი უდიდეს მუშაობას ეწევა კლასობრივ ბრძოლებში პარტიის დარაზმვის, თეორიული შეიარაღებისა და პოლიტიკური გამოწრთობისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების მჩქეფარე დღეებში ამხანაგი სტალინი გამოდის, როგორც ლენინის უერთგულესი თანამებრძოლი რევოლუციური იერიშის ორგანიზაციაში, როგორც რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის უდიდესი ოსტატი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — პროლეტარული რევოლუციების ერა. რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები ლენინი და სტალინი სათავეში უდგებიან მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს. ამხანაგი სტალინი შედის საბჭოთა მთავრობაში, რომელსაც ლენინი მეთაურობს, და მასთან ერთად ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი პარტია, წამყვანი, ხელმძღვანელი ძალა გახდა. ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელ მუშაობას სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საქმეში. მის სახელთან დაკავშირებულია ყველა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკის შექმნა, მათი გაერთიანება საბჭოთა კავშირში. ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემოქმედია.

სამამულო სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგი სტალინი, რომელიც ლენინის მოადგილე იყო თავდაცვის საბჭოში, გამოდის როგორც წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ყველა ფრონტზე, სადაც რევოლუციის ბედი წყდებოდა.

ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აშენებს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, განამტკიცებს პარტიას, ულმობლად ანადგურებს ლენინიზმის მტრებს.

მთელი თავისი მოღვაწეობით ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობა და მხურვალე სიყვარული მოიხვეჭა.

ლენინის ერთგულმა თანამებრძოლმა და უახლოესმა მეგობარმა ამხანაგმა სტალინმა, თავისი დიდი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ, მაღლა ასწია და წინ წაიღო ლენინის უძლეველი დროშა, გაბედულად და მტკიცედ წაიყვანა პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინის გზით — სოციალიზმის გამარჯვებისაკენ. საბჭოების მეორე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკური პარტიის სახელით ლენინის ანდერძისადმი ერთგულების ფიცი დადო.

ახლა ყველა ხედავს, რომ სტალინური ფიცი შესრულდა, რომ ლენინის საქმე სტალინის ხელმძღვანელობით ცოცხლობს და იმარჯვებს.

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყით გადაავლებენ თვალს ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენი სამშობლოს მიერ განვლილ სახელოვან გზას. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ და მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამხანაგ სტალინის გენიალური გეგმით განხორციელდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რამაც უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. ამხანაგი სტალინი ისეთი უდიდესი რევოლუციური გადატრიალების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია, როგორიცაა მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედმა ამხანაგმა სტალინმა ჩვენი მრავალმილიონიანი გლეხობა გამოიყვანა სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის ფართო და ნათელ გზაზე.

ჯერ კიდევ რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში ამხანაგი სტალინი წერდა, რომ დიდი ენერგია დიდი მიზნისათვის იბადება. სტალინური ხუთწლედების დიადმა გეგმებმა გამოაღვიძეს და აღაფრთოვანეს მილიონობით მშრომელთა ენერგია. ამხანაგი სტალინი გახდა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელმაც შრომა აქცია ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ. მამობრივი ზრუნვით ამხანაგი სტალინი მხარს უჭერს მშრომელთა ინიციატივას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყოველ ახალ პატრიოტულ წამოწყებას. „ჩვენ სტალინმა გამოგვზარდა", — ასე ამბობენ წარმოების ნოვატორები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები. ასე ამბობენ ჩვენი პარტიის მიერ აღზრდილი მრავალრიცხოვანი კადრები, ყველა საბჭოთა ადამიანი და ამით გამოთქვამენ თავიანთ მადლობას საყვარელი ბელადისა და მასწავლებლისადმი.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში უფრო მეტად გაიზარდა და გამოიწრთო ბოლშევიკური პარტია, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, უფრო ამაღლდა მისი ავტორიტეტი, უფრო განმტკიცდა მისი კავშირი მშრომელთა უფართოეს მასებთან. ამხანაგ სტალინის უდიდესი შორსმჭვრეტელობისა და შეურიგებლობის მეოხებით, პარტიამ ამხილა და გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა გამცემლები, ლენინიზმის უბოროტესი მტრები.

ბრძნულმა სტალინურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ეს გამარჯვება კანონით არის განმტკიცებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სიყვარულით უწოდა მისი დიდი შემოქმედის სახელი — სტალინური კონსტიტუცია. სტალინური კონსტიტუცია გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა და მოქმედების საბრძოლო პროგრამა.

მსოფლიოს მასწავლებელი უწოდა სტალინს ყაზახეთის ასი წლის პოეტმა ჯამბულმა. დიდი ბელადის პატივსაცემად გამოთქმულ ლექსებში იგი უსაზღვრო სიყვარულით უმღერდა მას:

თუ სტალინი ჩვენთან არის —
მაშ სიმართლე ჩვენთან არის,
თუ სტალინი ჩვენთან არის, —
მაშ ჩვენ ძლიერნი ვართ,
თუ სტალინი ჩვენთან არის —
ამაყად ფრიალებს დროშა,
ბედნიერი, მძლავრი,
მზიური ქვეყნისა!

მიჰყავს რა პარტია სოციალიზმის გამარჯვების გზით, ამხანაგმა სტალინმა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება.

მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების კორიფემ ამხანაგმა სტალინმა შემოქმედებითად დაამუშავა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა ძირითადი საკითხი, მეცნიერულად განაზოგადა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება. სტალინური იდეები, რომლებიც მშრომელთა უფართოეს მასებს ეუფლებიან, იქცევიან მძლავრ მატერიალურ ძალად, რომელიც აჩქარებს ისტორიული განვითარების მსვლელობას.

საუკუნეებში იცოცხლებს ხალხის ხსოვნაში უმაგალითო გმირობა, რაც საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოახდინა დიდი სამამულო ომის პერიოდში. მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერების ფუძემდებელმა გენერალისიმუსმა სტალინმა შეიმუშავა და განახორციელა მტრის განადგურების გენიალური სტრატეგიული გეგმა, თავის ნებას დაუმორჩილა გიგანტური ბრძოლების მსვლელობა და საბჭოთა ხალხი მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე უდიდეს ომში.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით გიგანტური მასშტაბით გაშალა მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა.

თავის ისტორიულ სიტყვაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს ამხანაგმა სტალინმა დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამა. მთელი საბჭოთა ხალ-[illegible]

„პრავდის" 20/XII მოწინავე

## მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობენ ბ-ნები ვ. შიროკი, ლ. სვობოდა, მ. შვერმოვა.

სტუმრებს შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის [illegible] საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის საე[illegible] წევრები სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ ბ. ლაშტოვიჩკას მეთაურობით, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ა. გრეგორი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით 19 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია ბ-ნ ფ. იუზვიაკის მეთაურობით.

ბელორუსიის ვაგზალზე სტუმრებს შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლონეთის საელჩოს წევრები პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულის ბ-ნ ი. ზამბროვიჩის მეთაურობით, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა უნგრეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის მეთაურია მატიას რაკოში.

უნგრელ სტუმრებს შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე უნგრეთის საელჩოს წევრები სსრ კავშირში უნგრეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ დ. ანდრაშფის მეთაურობით. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა იტალიის დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 20 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ იტალიის დელეგატები პალმირო ტოლიატი და პიეტრო სეკია.

ჩამოსულთ ცენტრალურ აეროდრომზე შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით 19 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბ-ნები კიმ დუ ბონი, კიმ დარ ხენი, ლი სინ ენი.

სტუმრებს შეხვდნენ ი. ბ. სტალინის 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი დიუ ენ ხე და საელჩოს წევრები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით 19 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ბ-ნი ი. ცედენბალი.

ჩამოსულთ შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი მაიდარი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. იდამჟაბი. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდნენ დელეგატები ფინეთიდან

20 დეკემბერს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდნენ ფინეთის კომპარტიის დელეგატები — ვილე პესი და ჰერტა კუუსინენი.

სტუმრებს შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა შვეციის კომპარტიის დელეგატი

გუშინ, 20 დეკემბერს, ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა შვეციის კომუნისტური პარტიის დელეგატი ჰილდინგ ჰაგბერგი.

ჩამოსულს შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საქდესი).

## მოსკოვს ჩამოვიდა ავსტრიის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით 18 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ავსტრიის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობენ იოჰან კოპლენიგი, ფრიდლ ფიურნბერგი.

ჩამოსულთ ბელორუსიის ვაგზალზე შეხვდნენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (საქდესი).

კომუნისტი

ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1949 წ. № 251 (8554).

# ინდუსტრიული საქართველო ადიდებს ხალხთა საამური ცხოვრების შემოქმედს დიდ სტალინს!

## აღდგა რუსთავი ძველ ნაქალაქარზე

საქართველოს მშვენებად აღდგა ინდუსტრიული რუსთავი ძველ ნაქალაქარზე. შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლები — ლამაზი, დიდი და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალები აღმართულან ახლა ყოფილ ბოსტანქალაქის ადგილას, რომელიც მრავალჯერ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს მტერთა ურდოებმა. მოასფალტებული, გამწვანებული და გაჩირაღდნებული, ლარივით სწორი ქუჩები სერავენ ახლა ყოფილ ყარაიის უსიცოცხლო ველის ამ კუთხეს. ფართოდ გაშლილი მოედნები, პარკები, გაზონები, დიდი სტადიონი და ფიზკულტურის მოედნებია მოწყობილი იქ, სადაც ხუთიოდე წლის წინათ ნადირთა ხმა ისმოდა, ნორჩი ტყე და ქარსაცავი ზოლებია გაშენებული იმ მიწაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში უწყალობით იხრუკებოდა მცხუნვარე მზის ქვეშ.

საბჭოთა ადამიანის თვალი და გული ხარობს ახალ რუსთავში. ცალკე უბნად გამოჰყოფიან ქალაქს ინდუსტრიულ საწარმოთა მაღალი, ვეებერთელა კორპუსებით სახეშეცვლილი კუთხეები. ცის კამარას სწვდებიან საქარხნო კვამლსადენთაგან აჭრილი ბოლის სვეტები, რათა მთელმა ქვეყანამ გაიგოს ინდუსტრიულ რუსთავში სისხლსავსე ცხოვრების მჩქეფარება.

მატარებლებს ყოველდღე მოჰყავთ აქ სამუშაოდ მოძმე რუსეთისა და უკრაინის დიდ ინდუსტრიულ ცენტრებში აქედან მოსამზადებლად გაგზავნილ ახალგაზრდათა ჯგუფები. მათ უკვე შეუსწავლიათ თანამედროვე რთულ აგრეგატებსა და დანადგარებზე მუშაობა, აუმაღლებიათ საკუთარი კვალიფიკაცია და დაუფლებიან ახალ ტექნიკას, რომ ამიერიდან თავიანთი მარჯვენის მადლით ასახელონ და გაახარონ ჩვენი რესპუბლიკა.

დიდია საქართველოს ახალგაზრდობაში რუსთავისაკენ ლტოლვა. ფოსტას ყოველდღე მოაქვს მათგან წერილები— „გვინდა რუსთავში ჩამოვიდეთ, მის მშენებელთა რიგებში ჩავდგეთ, გვიპასუხეთ, წამოვიდეთ თუ არაო.

— „მოუთმენლად მოველი იმ ბედნიერ დღეს, როცა თქვენგან მივიღებ ცნობას ჩემი მანდ წამოსვლის სასურველობის შესახებ. სულით და გულით მინდა ჩემი ცოდნა და სპეციალობა მოვახმარო ჩვენი მრეწველობისა და ტექნიკის განვითარებას. მინდა ვიმუშაო რუსთავში და ვიყო საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე რიგებში. აღფრთოვანებით ვკითხულობ გაზეთებში იმ წერილებს, რომლებიც ახალი სოციალისტური ქალაქის — რუსთავის მშენებლობაზე და იქაურ მოწინავე ადამიანებზე მოგვითხრობენ. ველი თქვენგან გამოწვევას“.

წერილს ხელს აწერს ალექსანდრე კოკაია.

მისებრი ენთუზიასტები ცხოვრობენ და მუშაობენ რუსთავში. იშვიათია ისეთი მუშა, რომელიც გამომუშავების ნორმას ვერ ასრულებდეს, ხოლო ისეთნი კი, რომლებიც ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, უმეტესობაა. ზეინკალი ა. მაისურაძე, მაგალითად, ყოველდღიურ ნორმებს 250-350 პროცენტით ასრულებს. როგორც მოწინავე სტახანოველი და ენერგიული საზოგადოებრივი მუშაკი, ამხ. მაისურაძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრად. ასეთები ბევრნი არიან.

ხალხთა მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად რუსთავის საწარმოთა კოლექტივებმა, ახალი გადიდებული ვალდებულებების შესრულება იკისრეს და მასობრივად გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მათ გასანაღდებლად. ყველაზე მოწინავეებმა, მათ შორის გადიდებული საწარმოო ვალდებულებებიც ვადამდე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. მეყალიბეთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ნავროზაშვილი ხელმძღვანელობს, იკისრა დეკემბერში ყოველდღიური დავალების 350 პროცენტით შესრულება. ფაქტიურად კი ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 375 პროცენტით ანაღდებს.

საწარმოთა კოლექტივებს არც მშენებლები ჩამორჩებიან. ათობით სამშენებლო სამმართველოებმა, სპეციალიზებულმა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ახალგაზრდა მუშებს გარდა რუსთავისკენ დიდი ლტოლვაა რესპუბლიკის ყველა რაიონის მშრომელებში. უკვე რამდენიმე თვეა აქ სამუშაოდ და საცხოვრებლად ჩამოდიან სხვადასხვა რაიონიდან საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე კომუნისტები, რომელთაც სურთ ინდუსტრიული პროფესიების დაუფლება და რუსთავში მკვიდრ მცხოვრებად დარჩენა. ჩამოსულთაგან 108 კაცი უკვე დამკვიდრდა რუსთავში, ჩამოიყვანეს ოჯახები, მიიღეს კარგად მოწყობილი ბინები და ახლა იშენებენ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს, რომელთაც ექნებათ ცალკე საკარმიდამო ნაკვეთები. ჩამოსულთაგან ზოგმა დურგლობა შეისწავლა, ზოგმა კალატოზობა, მებეტონეობა, არმატურის კეთების ოსტატობა, ხოლო სხვებმა—ზეინკლობა, მღარავობა, ხარატობა და მთელი რიგი სხვა პროფესიები.

ქუჩებში ავტომობილების გაცხოველებული მოძრაობაა. გაივლის ხანი და ტროლეიბუსებიც დაიწყებენ სრიალს რუსთავის განიერ პროსპექტებზე. მალე გაიზრდებიან უკვე დარგული მცენარეები (მათი რიცხვი ჯერჯერობით 60 ათასს აღწევს), და მათი შრიალი დიდ ინდუსტრიულ საწარმოთა გუგუნს შეუერთდება. რუსთავის გარშემო გაშენდება დიდი ტყე, რისთვისაც ამჟამად გამოჰყავთ ნახევარ მილიონზე მეტი 60 სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგი.

საქართველოს მშრომელებს უყვართ რუსთავი, როგორც საკუთარი მშობლიური საქმე, რაც მრავალ და მრავალ საუკუნეთა მანძილზე დარჩება ჩვენი დიადი ეპოქის იმ ადამიანის სადიდებლად, რომელსაც მუშები, მეტალურგი პოეტის სიტყვებით უმღერიან:

გვესმის მუსიკად შრომის გუგუნი,
მტკვარიც ახლა გრძნობს სიცოცხლის ხალისს,
რუსთაველების პირველი სიტყვა
მუდამ ესაა—დიდება სტალინს!

**გ. ზედგინიძე**
საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი



ი. ბ. სტალინი

საკდესის ფოტოქრონიკა.

## სიმღერა სტალინზე

უძლეველია სტალინი,
მტერი ველარას ჰბედავსო;
თვალი შორს უჭრის არწივსა,
ხალხის მტრებს უმალ ჰხედავსო.

სიმართლის ხმალი უჭირავს,
სიმტყუვნეს თავსა ჰკვეთავსო —
ხალხს იცავს, ვითა ლენინი,
საქმეს გონივრად ჰწყვეტავსო.

## გულში მუქივით ჩამდგარა

საბჭოთა ხელისუფლება
ექლიან გზასა სჭრისაო,
გაივლის უდარდელადა,
შიში არა აქვს მტრისაო.
ვერ დააჭარბებს სტალინსა
სიმაგრე ფოლადისაო,
ყოველ დღე გადმოგვანათებს,
როგორც სხივები მზისაო.
მიგვიძღვის, იმის ჭირიმე
და იმის ნათელ გზისაო,

წავყვებით, საცა წაგვიყვანს,
დრო რო დადგება ცდისაო.
ძველი ფშაური ფრანგული
როგორ ლამაზად სჭრისაო,
მტერს სისხლი ღვარად ვადინოთ,
ხმა ჰქონდეს ალაზნისაო.
— სამშობლოს სხვასა არ მივცემთ,
ჩვენც არა გვინდა სხვისაო, —
გულში შუქივით ჩამდგარა
სიტყვები სტალინისაო.

(კრებულიდან „სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში“).

## სიცოცხლე მკვიდრდება სამგორის ველზე

უკვე ხორცს ისხამს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება—სიცოცხლე მკვიდრდება სამგორის ველზე, ხალხს უბრუნდება უძველესი დროიდან დაკარგული, დაუქმებული უხვმოსავლიანი სამგორის მიწა.

80 ათასზე მეტი ჰექტარია სამგორის ველი. რამდენიმე წლის შემდეგ მთელი ეს თვალუწვდენი სივრცე დაიფარება მწვანე მასივებით, აბიბინდება ჯეჯილი, გაიხარებს ვაზი, აშრიალდება ტყე და სარკესავით ალაპლაპდება თბილისის დიდი, ბარაქიანი წყალსაცავი. მალე ჩვენს დედაქალაქს გაუჩნდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, ხილისა და ბოსტნეულის უახლოესი დიდი ბაზა, შერბილდება და გაკეთილშობილდება თბილისის კონტინენტური ჰავა, დედაქალაქი დამშვენდება აყვავებული მიდამოებით და ადამიანის მარჯვენით შექმნილი პატარა ზღვით—თბილისის წყალსაცავით.

ახლა უკვე იგრძნობა სამგორის ველზე მჩქეფარე სიცოცხლის დასაწყისი. ოაზისებივით გაშენებული სოფლების—დიდი ლილოს, პატარა ლილოს, ნორიოს, მარტყოფის, ახალსოფლის, საცხენისის და სხვათა პარალელურად აღმოცენდნენ სამგორელ მშენებელთა საცხოვრებელი დაბები ორხევში, მლაშე ტბებთან, დიდ ლილოსთან და ა. შ. მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზე გაუშლიათ სამუშაოთა ფრონტი მშენებლებს. მათ გაჰყავთ გვირაბები კლდეებსა და მთებში, აშენებენ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, აბეტონებენ არხს, თხრიან მიწას, ამუშავებენ თანამედროვე ურთულეს მექანიზმებს...

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაშია შესაძლებელი ისეთი გრანდიოზული, მართლაც საშვილიშვილო საქმის გაკეთება, როგორიც სამგორის ველის მორწყვაა. ამას, ისევე როგორც მთელ თავის ბედნიერ ცხოვრებას, ქართველი ხალხი უმადლის ხალხთა მამას და მასწავლებელს, დიდ ბელადს — სტალინს.

ჯერჯერობით მუშაობა მიმდინარეობს სამგორის ველის პირველი რიგის სამუშაოთა შესასრულებლად, რათა მორწყულ იქნას 37.500 ჰექტარი ფართობი. სამისოდ საჭიროა 7.770.000 კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოების შესრულება. უნდა შესრულდეს აგრეთვე დიდძალი სხვა სამუშაოები, რისთვისაც საჭიროა მრავალი ათასი მშენებლის ყოველდღიური სტახანოვური მუშაობა. მშენებლებისათვის, ხოლო შემდეგში სარწყავი სისტემის მომვლელი და მეთვალყურე პერსონალისათვის დაწყებულია საცხოვრებელი დაბების გაშენება, იმდენი სახლის აგება, რომ ყველა დაბა რომ ერთად შეგვეერთებინა, საკმაოდ მოზრდილი ქალაქი გამოვიდოდა.

სამგორის სისტემის მშენებლობაზე ორი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია მუშაობს—ხრამჰესმშენის ტრესტი და სამგორწყალმშენის სამმართველო. მშენებლები ცდილობენ ზამთრის ამ პერიოდში მუშაობა კონცენტრირებულად აწარმოონ, ე. ი. მთელ ძალებს გარკვეულ, უფრო შრომატევად ობიექტებზე მოუყარონ თავი, რათა უფრო გაუადვილდეთ, მაგალითად, ისეთ სამუშაოთა შესრულება, როგორიცაა ბეტონის სამუშაოები. დაბეტონებისას ახლა საჭიროა დათბუნვის სისტემის გამოყენება. დიდ ფრონტზე ეს, რასაკვირველია, ძნელია, ხოლო კონცენტრირებულად — უფრო იოლი. სამგორის ზედა მაგისტრალური არხი 17 კილომეტრის მანძილზეა დასაბეტონებელი. ამჟამად უკვე დაბეტონებულია არხი 5 კილომეტრზე.

უმაგალითო აღმავლობით მუშაობენ მშენებლები. ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთსულოვნად ჩაება ყველა მშენებელი. შეჯიბრებაში გამარჯვება, ახალი საწარმოო წარმატებების მოპოვება ყოველი სამგორელის ღირსების საქმედ გადაიქცა. ამ საერთო აღმავლობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მთელი რიგი ბრიგადები და უბნები, ცალკე მშენებლები. საამაყო მაჩვენებლები აქვთ მებეტონეთა იმ ბრიგადებს, რომელთაც გ. ლომიძე, ვ. კიკნაძე, ნ. მერაბიშვილი და ვ. დრიაშვილი ხელმძღვანელობენ.

მექანიზმებზე მომუშავეთა შორის დაწინაურდნენ ბულდოზერზე მომუშავე ვანო დელიბაშვილი, მესკრეპერე იასონ თურქიშვილი და სხვები.

მძიმე, შრომატევადი სამუშაოები აქ მექანიზებულია. მშენებლობაზე ორმოცამდე სხვადასხვა რთული მექანიზმია ამჟამად გამოყენებული, ხოლო სულ ახლო მომავალში მათი რიცხვი გაორკეცდება.

მომავალ 1950 წელს სამგორელებს დიდი სამუშაოები აქვთ შესასრულებელი. მათ ძირითადად უნდა დაამთავრონ ზედა მაგისტრალური არხის და თბილისის წყალსაცავის მშენებლობა, უნდა გააჩაღონ მუშაობა ქვემო სამგორის მაგისტრალის (თბილისის წყალსაცავიდან გარდაბნის მიმართულებით) და ჩრდილოეთის მაგისტრალის გასაყვანად (წყალსაცავიდან ავჭალის მიმართულებით).

სამგორის მშენებელთა საბრძოლო ამოცანაა მომავალ წელს ისეთი მასშტაბით გაშალონ მუშაობა, რომ 1952 წლისათვის შესაძლებელი გახდეს სამგორის მიწის პირველი ნაკვეთის — 12.000 ჰექტარის მორწყვა.

ადრე დილიდან დაღამებამდე არ ცხრება სამგორის ველზე მშენებელთა ხმაური.

სიცოცხლე მკვიდრდება სამგორის მიწაზე.

**ა. გაბუნია**
სამგორწყალმშენის უფროსი,

# რითაც ჩვენ ვამაყობთ

ყველაფერი, რითაც ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სამართლიანად ვამაყობთ, ყველაფერი, რითაც ამაყობენ მთელი მსოფლიოს მოწინავე და პროგრესული ძალები, განუყრელად დაკავშირებულია მარქსის, ენგელსისა და ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — ამხანაგ სტალინის ძვირფას სახელთან.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მოწინავე, რევოლუციური თეორიით, მეცნიერული კომუნიზმის თეორიით. ეს გასაგებიცაა. სწორედ ამ თეორიის დამსახურებაა, რომ კომუნისტურ პარტიებს აღებული აქვთ სწორი გეზი და წინ მიჰყავთ მშრომელთა საქმე წარმატებით. სწორედ ეს თეორია „აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში“ (ი. სტალინი). ეს თეორია ას წელზე მეტი ხნის წინათ შეიმუშავეს პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა მარქსმა და ენგელსმა. მათ აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების კანონები და დაამტკიცეს, რომ ამ კანონების საფუძველზე კაპიტალისტური წყობილების შეცვლა კომუნისტური წყობილებით ისევე აუცილებელია, როგორც თავის დროზე აუცილებელი იყო ფეოდალიზმის შეცვლა კაპიტალიზმით. მათ დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმი თვითონ ქმნის თავის მესაფლავეს — პროლეტარიატს, რომელიც, შეიგნებს რა თავის ამოცანას, წინ წაუძღვება ყველა ჩაგრულთ და გაყვლეფილთ, ძალდატანებით დაამხობს ბურჟუაზიის ბატონობას, დაამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას და ააშენებს კომუნიზმს. მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ ახალ ისტორიულ ეპოქაში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ეს თეორია განავითარეს, მაღალ საფეხურზე აიყვანეს პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა ლენინმა და სტალინმა.

ათეული წლების მანძილზე ლენინი და სტალინი ერთად სრულყოფდნენ და წინ სწევდნენ ჩვენს რევოლუციურ თეორიას, ამდიდრებდნენ მას რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ახალი გამოცდილებით. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ეპოქაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვებისა და ამ ქვეყნების სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებას ავითარებს და აღრმავებს ამხანაგი სტალინი. და თუ მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნიზმის გზას უჩირაღდნებს ყველა ქვეყნის მშრომელთ და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს, — ეს იმიტომ, რომ ამხანაგმა სტალინმა გენიალურად გადაჭრა რევოლუციური თეორიის წინაშე ჩვენი ეპოქის მიერ დასახული ახალი ურთულესი ამოცანები, განავითარა და მაღალ საფეხურზე აიყვანა ეს თეორია. ჩვენი თეორია ყველაზე მწყობრი, ყველაზე მთლიანი, ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური თეორიაა. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით ლენინის საქმის დიდ განმგრძობს ამხანაგ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიით. ეს გასაგებიცაა. კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე არავის იმდენი რამ არ გაუკეთებია მშრომელთა და ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, მათთვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად, რამდენიც გააკეთა ბოლშევიკურმა პარტიამ. მან ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს არა მარტო განთავისუფლების გზა უჩვენა, არამედ პრაქტიკულადაც ჩაუდგა სათავეში მათს ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ. მან უზრუნველყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და სოციალიზმის აშენება, ხოლო ამჟამად ხელმძღვანელობს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას. მან უზრუნველყო პროგრესული ძალების გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში და კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის შავი ჭირისაგან, ხოლო ახლა მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე და ნიღაბს ხდის ინგლისელ-ამერიკელ ომის გამჩაღებლებს. ჩვენი პარტია, ბოლშევიკების პარტია ნიმუშია ახალი ტიპის პარტიისა. მის მაგალითზე სწავლობენ ხელმძღვანელობის ხელოვნებას, ბრძოლისა და გამარჯვების ხელოვნებას, იზრდებიან და მტკიცდებიან ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები. ჩვენი პარტია, ბოლშევიკების პარტია შექმნეს და მრავალ ბრძოლაში გამოაწრთეს დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა. ათეული წლების მანძილზე ლენინი და სტალინი ერთად ჭედდნენ ბოლშევიკების პარტიას, მის იდეოლოგიურ, თეორიულ, ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საფუძვლებს. მუშათა კლასის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლებში ლენინმა და სტალინმა გამოაწრთეს ბოლშევიკური პარტიის რიგების ერთიანობა და სიმტკიცე. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგმა სტალინმა მაღლა ასწია ბოლშევიკური პარტიის ერთიანობისა და სიმტკიცისათვის ბრძოლის დროშა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბოლოოდ განადგურებულ იქნენ პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტრები ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალები. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტია ისე ერთიანი და შემჭიდროებული გახდა, როგორც არასოდეს არ ყოფილა. ჩვენი პარტია, ბოლშევიკების პარტია ახლა ყველაზე მტკიცე, ყველაზე ერთიანი, ყველაზე მძლავრი პარტიაა მთელ მსოფლიოში. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით ლენინის საქმის დიდ განმგრძობს ამხანაგ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით. ეს გასაგებიცაა. მსოფლიო ისტორიაში არც ერთ რევოლუციას არ მიუცია იმდენი რამ მშრომელი ხალხისათვის, რამდენიც მისცა ოქტომბრის რევოლუციამ. ოქტომბრის რევოლუცია ისტორიაში პირველი რევოლუციაა, რომელმაც მიზნად დაისახა არა მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა ერთი ჯგუფის შეცვლა მეორე ჯგუფით, არამედ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის აღმოფხვრა. „მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—დაისახა მიზნად მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოესპო ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი“. ოქტომბრის რევოლუცია პროლეტარული რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორიის კლასიკური განხორციელებაა. მან პირველმა გატეხა ყინული, გაკაფა მუშათა კლასის გამარჯვების გზა, რომელზეც ახლა უკვე მტკიცედ შედგნენ ევროპისა და აზიის მრავალი ხალხები. ამ რევოლუციის, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები არიან ლენინი და სტალინი. მათ დარაზმეს პარტია და მუშათა კლასი ოქტომბრის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. ისინი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას. ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს ნანგრევებზე მათ შექმნეს სრულიად ახალი, ისტორიაში უმაგალითო საბჭოთა სახელმწიფო. ლენინმა და სტალინმა უზრუნველყვეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა შინაური და გარეშე მტრების შემოტევისაგან, განამტკიცეს ოქტომბრის მონაპოვარნი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამხანაგი სტალინი განაგრძობს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმის ხელმძღვანელობას. ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელი დეზერტირები და კაპიტულანტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოქტომბრის რევოლუციის დასამარებას, მემამულე-კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენას. ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა და განავითარა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში მშენებლობის ლენინური თეორია, შეიმუშავა ამ თეორიის განხორციელების კონკრეტული გზები, შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი გამარჯვების რწმენით, სათავეში ჩაუდგა მათს ბრძოლას სოციალიზმის აშენებისათვის. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ განვახორციელეთ ოქტომბერში დასახული ამოცანა — ავაშენეთ სოციალიზმი და დავიცავით იგი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ახლა წარმატებით ვაშენებთ სრულ კომუნისტურ საზოგადოებას. დიდმა ოქტომბერმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით ლენინის საქმის დიდ განმგრძობს ამხანაგ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის მძლავრი, მთელ მსოფლიოში მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიით. ეს გასაგებიცაა. წინათ, მეფისა და კაპიტალისტების ბატონობის დროს ჩვენი ქვეყანა სამრეწველო განვითარების მხრივ დიდად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. განსაკუთრებით სუსტად იყო განვითარებული საწარმოო საშუალებათა წარმოება. ეს იწვევდა ჩვენი ქვეყნის სისუსტეს და მას მნიშვნელოვანწილად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულს ხდიდა. ამიტომ, როცა გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, ჩვენი ხალხის წინაშე დაისვა ქვეყნის ეკონომიური, სამრეწველო ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრას უშუალოდ შეუდგა საბჭოთა ხალხი პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს 1925-1926 წლებში. ეს მეტად რთული და ძნელი ამოცანა იყო. სრულებით უცნობი იყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზები. ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა ეს გზები, შეიმუშავა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მწყობრი თეორია, შეაიარაღა ამ თეორიით პარტია და ხალხი, სათავეში ჩაუდგა მისი განხორციელების საქმეს. გაანადგურა რა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგენი, ჩვენმა ქვეყანამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით უმოკლეს ვადაში — ომამდელი სტალინური ხუთწლედების მანძილზე უდიდესი ნახტომი გააკეთა წინ, ჩამორჩენილობიდან მოწინავეობისაკენ, სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში გაიარა ის მანძილი, რის გავლასაც კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ორმოცდაათი-ასი წელიწადი მოანდომეს, და მსოფლიოში მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფო გახდა. ინდუსტრიალიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ უზრუნველყო ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და მისი მოწინავე ტექნიკით შეიარაღება. ინდუსტრიალიზაციის სტალინურმა პოლიტიკამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია იყო დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობა. ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია არის ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარების საფუძველი. უმაგალითოა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების ტემპი. გაცილებით მაღლა დგას ჩვენი ინდუსტრია კაპიტალისტურ ინდუსტრიასთან შედარებით წარმოების ტექნიკის მხრივაც. სოციალისტური ინდუსტრია — სრული კომუნიზმის მშენებლობის საფუძველი, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საფუძველი — განუხრელად ვითარდება და ახალ მწვერვალებს იპყრობს. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მძლავრი, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობით, ჩვენი კოლმეურნეობებითა და საბჭოთა მეურნეობებით. ეს გასაგებიცაა. წინათ, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დროს, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა უაღრესად ჩამორჩენილი, უმთავრესად წვრილი, დაქუცმაცებული, პრიმიტიული მეურნეობა იყო. არც მანქანა-იარაღები, არც აგრონომიული მეცნიერების მონაპოვარნი სოფლად არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული წვრილი კერძომესაკუთრული მეურნეობის პირობებში. გლეხობას სამ პირ ტყავს აძრობდნენ მემამულე-კაპიტალისტები და მეფის მოხელენი, ვაჭრები და კულაკები. სოფლის მშრომელთა მასები აუტანელ გაჭირვებასა და საუკუნეობრივ სიბნელეში ცხოვრობდნენ. ამიტომ, როცა გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, როცა ფაბრიკა-ქარხნები მუშებს გადაეცა, ხოლო მიწა — გლეხებს, ჩვენს წინაშე დაისვა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის აღმოფხვრის ამოცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედს დიდ სტალინს!

## სტალინგრადიდან ეწვია

ოცდაერთი წლისაა სოფელ ყვარ-ის სტალინის სახელობის კოლმეურ-ობა. ოცდაერთი წლის წინათ ჩაეყა- საფუძველი ყვარლელი გლეხკაცის ძლებულობას, თვით სოფლის სიმ-დრეს, მის აშენებასა და აყვავებას. ალინურმა საკოლმეურნეო წყობი-ებამ შეიტანა შუქი გლეხის ოჯახში, მინდი და ხორბალი დაუხვავა, მარა- ღვინით აუვსო. სტალინურ საკოლ-ურნეო წყობილებას უმადლიან არლის მშრომელები ილიჩის ნათუ-ებს, რომელიც სოფელს აჩირაღ-ნებს; სკოლას, რომელიც ზრდის მათს ილებს; სამკითხველოს, კლუბს, სტა-ონს, რომლებიც ბეჯითი შრომის მდეგ კოლმეურნეთა სწავლას, ლტურის ამაღლებას, გონივრულ რთობა-დასვენებას ემსახურებიან.

სტალინურმა საკოლმეურნეო წყობი-ლებამ, მიჩურინული აგრონომიული ცნიერების მიღწევათა დანერგვამ, ანამედროვე მანქანა-იარაღების გა-ყენებამ უზრუნველჰყო ნიადაგის ნა-ფიერების განუხრელი გადიდება. 47 წელს კოლმეურნეობამ, ნაცვლად 5 ცენტნერისა, ჰექტარზე საშუალოდ ცენტნერი ხორბალი მოიყვანა, ხო-ო ცალკეულ ნაკვეთებზე—30 ცენტ-რიც. 11,5 ჰექტარი ჰქონდა მიჩენილი კოლმეურნეობის ბრიგადას, რომელ-ც ერმილე გავაშელი ხელმძღვანე-ობს. ამ ბრიგადამ ჰექტარზე საშუა-ოდ 31 ცენტნერი ხორბალი მოიწია. იგადირმა მთავრობის უმაღლესი ლდო—ლენინის ორდენი მიიღო. უხვი სავლის მიღებისათვის შრომის წი-ლი დროშის ორდენი დაიმსახურეს იგადირებმა საბა მამულაშვილმა, ება ბეჟანიშვილმა, იოსებ ბუშელა-ილმა. კოლმეურნეობამ მთელი კახე-სათვის სიმინდის უმაგალითო მოსა-ლი მოიწია: 225 ჰექტარზე—10.150 ნტნერი! ეს 15-ჯერ აღემატება ამა- კოლმეურნეობის მიერ 1943 წელს ებულ სიმინდის მოსავალს. ამ წარ-ტებისათვის სოციალისტური შრო-ს გმირის საპატიო წოდება მიენიჭა ლმეურნეობის თავმჯდომარეს სიკო ჯიაშვილს.

როგორ მიაღწია მისმა კოლმეურ-ობამ ამ წარმატებას, — ამაზეა და-რილი მისი წიგნი, რომელიც წელს ელგამმა გამოსცა. არაჩვეულებრივი მოცოცხლება იყო სოფლის წიგნის აზიაში, როცა იქ სახელმოხვე-ლი თანასოფლელის წიგნი მიი-. კოლმეურნეობის მოწინავე- გამოცდილება სწრაფად გავრ-ლდა მთელ რაიონში და არა მარტო იონში. სწორედ ამ გამოცდილების ნერგვასაც უნდა უმადლოდეს კოლ-ურნეობა 1949 წლის წარმატებებს. აქ დღემდე 80 კოლმეურნე ატა-ბს მთავრობის მაღალ ჯილდოს, ლს გაცილებით მეტმა გადააჭარბა იმ რმებს, რაც უმაღლესი ჯილდოების ღებისათვისაა დაწესებული. განსა-თრებით ყურძნის დიდი მოსავალი ო სოფელში. 340 ტონა ყურძენი მო-ფა კოლმეურნეობამ, ათჯერ მეტი, რე 1943 წელს.

* * *

კარგი შემოდგომა იყო წელს—თბი-, მზიანი. არც დეკემბერი შემოსულა ცრად. ღამით მოყინულ მიწის ზედა-პირს მზე ალბობს. მიწა ნორმალურ სინესტეს ინარჩუნებს. შუადღისას, მინდვრად რომ გახვიდე, კახეთის ამ შავხიადაგიანში,—გეგონება თითქოს ღამით უწვიმიაო—ფხვიერ ნიადაგში რბილად გეფლობა ფეხი. ეს ღამის ნაყინია მზისაგან გალხობილი. ხოლო მზე კვლავ ათბობს კახეთის მიწას ულრუბლო ციდან.

ბუნებისაგან მომადლებულ ამ საჩუქარს შეჰხარიან კოლმეურნეები. ახლა, დეკემბრის ამ დღეებში, ეყრება საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ნაგელაანების გაშლილ მინდვრებში ვართ.

— აი, იმ კუდიგორიდან მოყოლებული ათას ჰექტარზეა გადაჭიმული ჩვენი სახნავ-სათესი და საძოვარი ფართობები,—გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიკო ბუჯიაშვილი, — ხოლო შირაქში წელს ჩვენი საძოვრების ხარჯზე კიდევ 120 ჰექტარი ახალი ფართობი ავითვისეთ. ახლა იქ ჯეჯილი ზიზინებს...

...კუდიგორა. აგერ ილიას ჩანგით ანაჟღერი ყვარლის მთები, რომელთაც იგი ამაოდ შესჩიოდა,—ნუგეშს არ სცემდნენ ეს მშობლიური მთები პოეტს. ალბათ, აქ, სადმე დაჰღუღუნებდა ნაღვლიან სიმღერას ის მეურმე, ვინც კუდიგორის გზა მიასწავლა ზაქროს ტყეში გაჭრილ კაკო ბლაჭიაშვილთან; ალბათ, აქ, სადმე ამ მიწაზე შესჩიოდა გუთნისდედა თავის უტყვ მეგობარს: „ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაზავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

როცა გაგონდება ეს სტრიქონები აქ, დღევანდელი ყვარლის არე-მიდამოში, არ შეიძლება გულმა აღფრთოვანებით არ შესძახოს: სალამი დიდი ილიას ცრემლით ნაპკურო, განახლებულო კახეთის მიწავ!

— ტრაქტორები მოდიან, გუგუნი ისმის,—გვითხრა გახარებულმა სტეფანე ყოჩიშვილმა.

შორს, კუდიგორის მხრიდან საკოლმეურნეო მინდვრების გაშლილ ზღვაში ორი შავი მოძრავი წერტილი და გუგუნი თანდათან გვიახლოვდებოდა, მერე ტრაქტორის მილიდან ჰაერში ფთილა-ფთილად ავარდნილი ბოლიც გამოჩნდა.

— ეს ორი ტრაქტორი,—მითხრა სიკო ბუჯიაშვილმა,—პირველად ჩვენს კოლმეურნეობას გამოუგზავნა ყვარლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორმა ამხანაგმა მიხეილ ბარბაქაძემ: სტალინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობას—სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნიდან ახალმიღებული ორი ტრაქტორიო... ხოლო ამ ტრაქტორებს კი მე პირველად ვაძლევ მოწინავე მეშვიდე ბრიგადას, რომლის ხელმძღვანელია სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილე, ორდენოსანი სტეფანე ყოჩიშვილი.

...მალე ნაგელაანების გაშლილ მინდვრებს მიარღვევდა ორი მძლავრი ტრაქტორი—„სტზ-ნატი“ ხუთკორპუსიანი გუთნით.

ომგადახდილ ქართველ ვაჟკაცს კახეთის მინდორში ეწვია ტრაქტორი სტალინის ქალაქიდან

**ვლ. თორდუა**



ახალგაზრდა სტალინი. ნახატი ი. გაბაშვილისა

## დიდ თარიღს წარმატებით ხვდებიან

**ბოგდანოვკის** მტს-ის კოლექტივი ახალი წარმატებით ხვდება ხალხთა საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების ღირსშესანიშნავ თარიღს. სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა შესრულებულია 104,5 პროცენტით, დაზოგილია 31.267 კილოგრამი საწვავი. ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის დავალება 20 დეკემბრისათვის შესრულებულია 117,5 პროცენტით, გუთნებისა — 114 პროცენტით, კულტივატორებისა და სათიბების რემონტის გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით. მთლიანად შემოზიდულია საწვავ-საცხები მასალები.

* * *

**ბოლნისის** მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 15 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. თვითეული თხუთმეტძალიანი ტრაქტორის გამომუშავებამ 448 ჰექტარს მიაღწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 405 ჰექტარისა.

## ასრულებენ ვალდებულებებს

**ლენინგორი.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული მუშაობა ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. წინ არის სოფელ ხრომისწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ვადამდე გაანაღდეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების მიმდინარე წლის გეგმები და ახლა გეგმის გადამეტებით აბარებენ ასობით კილოგრამ ხორცს, ერბოს და სხვა პროდუქტებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ამ კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა. ძროხების სულადობის ზრდის სამწლიანი გეგმა მთლიანად არის შესრულებული. ახლა ფერმაში 68 სული ძროხა ჰყავთ.

ხრომისწყაროელი კოლმეურნეები მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან 21 დეკემბერს.

## მთის ამ შორეულ სოფელშიც

მზემ გააბრწყინა ჰალარა კავკასიონი. ხევებში ჩაგუბებული ნისლი შეტორტმახდა, სოფელს გადაუარა და თითქოს მზისა შეეშინდაო, სწრაფად გაქრა. ამ მაღალ მთებში, რომლებიც ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული, ახლად ხაგები სახლები ლამაზად გამოიყურებოდნენ. ჩვეულებრივი სიმშვიდე იდგა სოფელში. კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის ბინის კარი სტუმარმა შემოაღო, მართა პლიევა იკითხა. მოსულის წინ გაჩნდა წარმოსადეგი ქალი. მართამ იცნო პარტიის რაიკომის წარმომადგენელი. მოსულმა სასიხარულო ამბავი მოუტანა. მართას, როგორც ძროხების მოწინავე მწველავს, თბილისში იწვევდნენ — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავის საიუბილეო სესიაზე...

მთიელ ქალს ვერ დაეფარა თავისი აღფრთოვანება, სასიხარულო დღესასწაულზე მიიჩქაროდა და თან გულით მიჰქონდა მშობლიური სოფლის მადლობა.

მერე იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ამ თარიღთან დაკავშირებით გაემგზავრა მოსკოვში, მართა პლიევაც იყო.

ეს იყო განსაკუთრებული, დიდი, დაუვიწყარი მოვლენა მართას ცხოვრებაში.

პლიევამ საკუთარი თვალით ნახა დიადი ქალაქი, საიდანაც გამოტყორცნილი სხივები შორეულ მთებში მდებარე ზემო როკაშიც კაშკაშებენ, ნახა კრემლი—ჩვენი სამშობლოს მშვენება, ნახა სტალინი, რომლის ნახვასაც ყოველთვის ოცნებობდა მთიელი ქალი. მოსკოვში ოქროს საათით დაასაჩუქრეს მართა პლიევა.

დაუვიწყარი დღეების სახსოვარი ძვირფასი საჩუქარი ახლაც დევს მართას მაგიდაზე. მისი რიტმული ხმაური განუწყვეტლივ ისმის ოთახში. წუთებს ითვლის პატარა ნივთი. შორეული საძოვრებისაკენ ცხენით მიემგზავრება თუ კრებაზეა, თანასოფლელთან საუბრობს თუ მარტოდმარტო გასცქერის მშობლიურ მთებს, მართას ყოველთვის ესმის ძვირფასი საჩუქრის გულისცემა. ცამეტ წელზე მეტია, რაც ეს საათი ხმაურობს მართას ოჯახში. დრო წინ მიდის. სულ უფრო და უფრო შინაარსიანი და ბედნიერი ხდება სოფლის ცხოვრება. ათი წელია მართა ზემო როკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ წელს აქ სამასიოდე სული ცხვარი ჰყავდათ, ახლა ცხვრის რაოდენობა შვიდი ათას რვაას სულს აღწევს. ეს რვაასი სულით აღემატება გეგმას. მეძროხეობის ფერმაში ას თორმეტი ძროხა ჰყავთ.

როკელებმა ვადაზე ბევრად ადრე გაანაღდეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების 1949 წლის გეგმები. მომავალი წლის ანგარიშში ჩაბარებულია დიდძალი პროდუქტები.

მართა პლიევას წილად ხვდა დიდი პატივი. ის არის დელეგაციის წევრი საქართველოდან ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

მთის ამ შორეულ სოფელ ზემო როკაში მხურვალედ გრძნობენ ადამიანები მშობლიური სტალინის მზრუნველობას, ამ სოფელმაც სტალინური მზის ქვეშ განახორციელა თავისი სურვილები. ახლა იცნობენ არა მარტო ზემო როკას, არამედ მის ადამიანებსაც. აქ, ჰალარა მწვერვალებთან ახლოს, გაისმის ხალხის გულით ნათქვამი სიმღერა — დღეგრძელი იყოს სტალინი, ჩვენი მზე და ბედნიერება!

**ვლ. გელაშვილი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## კოლმეურნეთა შრომითი საჩუქარი

**გალი.** (სპეც. კორ.). 21 დეკემბრისათვის რაიონის ცენტრში მთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა, რომელსაც 500-ადგილიანი დარბაზი აქვს.

სოფელ ჭუბურხინჯის სტალინისა და კაგანოვიჩის, თაგილონის ვოროშილოვისა და ჟდანოვის, სოფელ ცხირიგალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობები ამთავრებენ 300 ცხენისძალიანი ელექტროსადგურის მშენებლობას. ამაზე ერთ მილიონ მანეთამდე იხარჯება.

მეციტრუსეები ყოველდღიურად ახალ საჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს. მათ სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს გასული წლისაზე თითქმის ერთიორად მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ციტრუსი დიდი რაოდენობით ჩააბარეს სოფელ პირველგალის სტალინის და ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე მუხურის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთმა“ და კოხორის საბჭოთა მეურნეობამ.

რაიონის კოლმეურნეობათა ნახევარზე მეტმა ვადამდე შეასრულა მომავალ წელს ჩაის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა. ზოგან ვალდებულება გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგალითად, სოფელ ნობაკევის, ქვემო ბარღების, ცხირიგალის სტალინის სახელობის, ღუმურიშის ფარფალიას სახელობის კოლმეურნეობებში.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ვადამდე გეგმის გადამეტებით მოამზადეს ნიადაგი 1950 წელს ციტრუსების გასაშენებლადაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოფელ რეჩხიცხირის ენგელსის სახელობის, ცხირიგალის ბაქრაძის, ჭუბურხინჯის სტალინის, ამავე სოფლის კაგანოვიჩის, ცხირიგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და სოფელ მუხურის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთი“.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ლაო ჩაის ჩაბარების ვალდებულება, დამზადებულია 770 ტონა ნედლეული.

---

თუ სოფლად არ შეიქმნებოდა მო-ავე, მსხვილი სოციალისტური მე-ნეობა, ისე საბჭოთა ქვეყნის წარ-ებით წინსვლაზე ლაპარაკიც ზედ-ი იყო. ამ ამოცანის გადაჭრას საბ-თა ხალხი უშუალოდ შეუდგა მა-, როდესაც მოპოვებულ იქნა პირ-ლი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის სო-ალისტური ინდუსტრიალიზაციის გან-ხორციელების საქმეში ე. ი. 1929-1930 ებში. ეს მეტად რთული და ძნელი ცანა იყო. სრულებით უცნობი იყო ფლის მეურნეობის სოციალისტური ოდაქმნის გზები. ამხანაგ სტალინის იდესი დამსახურება ის არის, რომ ალმოაჩინა ეს გზები, შეიმუშავა ფლის მეურნეობის კოლექტივიზა-ს თეორია, შეაიარაღა ამ თეორიით ტია და ხალხი, სათავეში ჩაუდგა ი განხორციელების საქმეს. გაანად-რა რა სოფლის მეურნეობის კო-ქტივიზაციის მოწინააღმდეგენი, პარ-ამ ამხანაგ სტალინის მეთაურო-ო უზრუნველყო გლეხობის ძი-ადი მასების დაყენება კოლმე-ნეობათა გზაზე, სოციალიზმის გზა- მთლიანი კოლექტივიზაციის სა-ძველზე განხორციელდა კულაკო-, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. ეს ო უდიდესი რევოლუციური გადატ-ლება, რომელიც თავისი შედეგე-ო დიდი ოქტომბრის რევოლუციის ნაბარი მნიშვნელობისა იყო. ომამ-ლი სტალინური ხუთწლედების მან-ლზე კოლმეურნეობები განმტკიცდ- და გაძლიერდნენ, აღიჭურვნენ მო-ავე ტექნიკით. სოფლის მეურნეობა რაფი აღმავლობის გზას დაადგა, ოკლეს ვადაში ყველაზე მსხვილი, ლაზე მოწინავე გახდა მთელ მსოფ-ოში. კოლექტივიზაციის სტალინურ- პოლიტიკამ უზრუნველყო გლეხო- მრავალმილიონიანი მასების დახს- სიბნელისა და გაჭირვებისაგან, დაა-ა კოლმეურნეები ბედნიერი, შეძ-ბული, კულტურული ცხოვრების თადერთ სწორ გზაზე. კოლექტივი-ციის სტალინურმა პოლიტიკამ უზ-ნველყო ინდუსტრიალიზაციის შემ-ომი აღმავლობა. კოლექტივიზაციის ალინურმა პოლიტიკამ განამტკიცა გააძლიერა ჩვენი ქვეყნის თავდაც-უნარიანობა. ჩვენი კოლექტიური ფლის მეურნეობა დიდ სამამულო ში საბჭოთა ხალხის გამარჯვების თ-ერთი ძირითადი პირობა იყო.

ჩვენი კოლექტიური სოფლის მეურნეობა ომისშემდგომ პერიოდში განუხრელად ვითარდება და ამზადებს პირობებს პროდუქტების სიუხვისათვის, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინურ თეორიას და პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვისაც. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალი სოციალისტური კულტურითა და მეცნიერებით, ლიტერატურითა და ხელოვნებით. ეს გასაგებიცაა. წინათ, მემამულეებისა და კაპიტალისტების დროს, კულტურისა და მეცნიერების ყველა მონაპოვრით სარგებლობდნენ მხოლოდ მჩაგვრელები, ექსპლოატატორები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ რომ ხალხის მასები სიბნელეში ჰყოლოდათ. მათ ჰქონდათ თავიანთი ანგარიში: რაც უფრო მეტი უმეცრება იქნებოდა ხალხში, მით უფრო მეტი ექსპლოატაცია შეეძლოთ გაეწიათ მდიდრებს მშრომელებისათვის. ამიტომ იყო, რომ რევოლუციამდე მშრომელთა უდიდესმა უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა. როცა გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, ბუნებრივია, ჩვენს წინაშე დაისვა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანა, მშრომელთა ფართო მასებში განათლებისა და კულტურის შეტანის ამოცანა, საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების ამოცანა, რადგან რაც უფრო განათლებულია ხალხის მასები, რაც უფრო მაღალია მათი კულტურული დონე, მით უფრო ძლიერია საბჭოთა ხელისუფლება, მით უფრო დიდია მისი წარმატებანი. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენს ქვეყანაში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა, ქალაქები და სოფლები დაიფარა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელით, სამკითხველოებით, ბიბლიოთეკებით, კლუბებითა და კულტურის სახლებით. განვითარდა ახალი, სოციალისტური ხელოვნება და ლიტერატურა — მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი იარაღი. უდიდეს წარმატებებს აღწევს საბჭოთა მეცნიერება. ამას მოწმობს თუნდაც უმოკლეს ვადაში ატომის ენერგიის საიდუმლოების დაუფლება. საბჭოთა მეცნიერების ყველა მიღწევანი ხალხის სამსახურშია ჩაყენებული. ჩვენი მეცნიერების აღმოჩენები, მათ შორის ატომის ენერგიის აღმოჩენა მძლავრი საშუალებაა დღემდე უმაგალითო ტექნიკური პროგრესისა, რომელიც დააჩქარებს ჩვენს შემდგომ წინსვლას კომუნიზმისაკენ. ყოველივე ამით ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მძლავრი, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოთი, ჩვენი ახალი, სოციალისტური ერებით. ეს გასაგებიცაა. წინათ, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დროს, ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ეროვნებანი შევიწროებული, დაჩაგრული და დამონებული იყვნენ. ცარიზმი ხელოვნურად აღვივებდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის სიძულვილსა და მტრობას, რადგან ეს მისთვის ხელსაყრელი იყო, რადგან ამით ის ხელს უშლიდა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ძალების გაერთიანებას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ, ბუნებრივია, ჩვენს წინაშე დაისვა ეროვნებათა შორის ახალი, მეგობრული ურთიერთობის დამყარების ამოცანა, რადგან რაც უფრო მტკიცეა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, მით უფრო ძლიერი და უძლეველია სოციალისტური სახელმწიფო, მით უფრო დიდია მისი წარმატებანი. ამ ამოცანის გადაჭრის კონკრეტული გზები დასახა ამხანაგმა სტალინმა. ერის ბოლშევიკური თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას, ჩვენი პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, ყოველმხრივ დამუშავებულია ამხანაგ სტალინის მიერ. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა შორის სრულიად ახალი, მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა დამყარდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაწინაურდნენ და გაიფურჩქნენ წინათ ჩამორჩენილი ერები. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩვენი რესპუბლიკა — საქართველო, რომელიც რევოლუციამდე მეფის რუსეთის კოლონია იყო, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გახდა. ასევე დააღწიეს თავი ჩამორჩენილობას და მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ერებიც. შეიქმნა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ეს გამოცდა საბჭოთა სახელმწიფომ ბრწყინვალედ ჩააბარა. ის აღმოჩნდა ყველაზე მტკიცე და ყველაზე მძლავრი სახელმწიფო მთელ მსოფლიოში. ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო მტკიცდება და ვითარდება ჩვენი სოციალისტური ერების მეგობრობა, სწრაფ აღმავლობას განიცდის ყველა ერის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ძლიერდება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. ამით ჩვენ ვამაყობთ, ამას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით მეორე მსოფლიო ომში. ეს გასაგებიცაა. არც ერთი წინანდელი ომი არ იყო ისე მძიმე და საშიში კაცობრიობის ცივილიზაციისათვის, პროგრესისათვის, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა გააჩაღეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მოსასპობად. ჰიტლერელთა შეიარაღებულ ძალებს სერიოზული წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა. ფაშისტებმა იოლად დაიპყრეს მთელი ევროპა, გამოიყენეს მათი რესურსები და თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. ამხანაგ სტალინის მოწოდებით ფეხზე დადგა მთელი საბჭოთა ხალხი. ხანგრძლივ, მძიმე ბრძოლებში საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც მტერი მისსავე ბუნაგში გაანადგურეს და ძლევამოსილად დაამთავრეს მეორე მსოფლიო ომი. გერმანელ ფაშისტთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომში ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია დიდი სტალინი, რომელმაც ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, შეაიარაღა მტრის განადგურების ხელოვნებით ჩვენი ფრონტისა და ზურგის მუშაკები, დარაზმა ისინი და უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს ზეიმი, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების ზეიმი. მეორე მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების შედეგად, რაშიც გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა, ევროპის მრავალ ქვეყანაში და აზიის უდიდეს ქვეყანაში — ჩინეთში გაიმარჯვა სახალხო დემოკრატიულმა წყობილებამ. ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის დახმარებით მტკიცედ დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. ყოველივე ამით ჩვენ ვამაყობთ, ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს.

ჩვენ ვამაყობთ ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის უდიდესი წარმატებებით. ეს გასაგებიცაა. ომმა ჩვენს სამშობლოს დიდი ზიანი მიაყენა. ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის თავდადებული შრომით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით საბჭოთა ქვეყანამ წარმატებით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები და სწრაფად მიდის წინ სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდება. ეს მაშინ, როცა კაპიტალისტური ქვეყნები ახალი კრიზისის წინაშე დგანან, როცა სახალხო მეურნეობა ამ ქვეყნებში არათუ ვითარდება, არამედ უკან-უკან მიდის, როცა ხალხის მასების მდგომარეობა ამ ქვეყნებში არათუ უმჯობესდება, არამედ უარესდება. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებს. ამიტომაა, რომ ისინი გაფაციცებით ეწევიან ახალი ომისათვის მზადებას, აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს. მაგრამ ხალხებს ომი არ უნდათ. ომის საწინააღმდეგო მოძრაობას, მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, მას მხარში უდგანან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მშვიდობის მილიონობით მომხრენი მთელ მსოფლიოში. მშვიდობის ბანაკს მეთაურობს დიდი სტალინი და ეს არის იმის გარანტია, რომ ეს ძალები აუცილებლად გაიმარჯვებენ.

თეორიული ძლიერების შეხამება პროლეტარული მოძრაობის პრაქტიკულ-ორგანიზაციულ გამოცდილებასთან, — აი რაში ხედავდა ამხანაგი სტალინი ლენინის, როგორც პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარული პარტიის ბელადის, სიდიადეს და ძალას. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამაშივეა თვით სტალინის, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ძალა და სიდიადე.

სტალინი უდიდესი თეორეტიკოსია, მეცნიერების უდიდესი კორიფეა. სტალინი გამარჯვებათა უდიდესი ორგანიზატორია. სადაც სტალინია, იქ გამარჯვებაცაა.

ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვცხოვრობთ გენიალური პროლეტარული სტრატეგის, უდიდესი მხედართმთავრის დიდი სტალინის ეპოქაში. სტალინი გვიჩირაღდნებს კომუნიზმის გზას ჭეშმარიტად

ჯიხვს იალაღი ალაღებს,
არწივს მაღალი მთებია,
ცას ელვა, მიწას — ყოილი
და ჩვენ — სტალინის გენია.

აღნიშნავენ რა ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს, საბჭოთა კავშირის ხალხი, მთელი მსოფლიოს მოწინავე და პროგრესული ძალები დიდ ბელადს უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

დიდი სტალინის წინამძღოლობით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ.

# დიდი სტალინი შემოქმედებითი აზრის დაუშრეტელი წყარო!



## საჩუქარი ბელადს, ჭაბუკობის გასახსენებლად

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, მისი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად გაუგზავნა სიყვარულით მოქსოვილი ძვირფასი ხალიჩა, ზედ ამოქარგული სტრიქონებით:

ამ ხალიჩით გამოვხატეთ
ჩვენი სიხარული,
შიგ ძაფებად გული ჩავდეთ,
ნასკვად — სიყვარული.

ხალიჩის მხატვრობა (ესკიზი ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, მხატვარ უჩა ჯაფარიძეს) შესრულებულია რთული თემატიკით. ფონად აღებულია გორის პეიზაჟი, ხოლო ჭაბუკობის დროის პორტრეტი შესრულებულია საქართველოში ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დაწყების პერიოდის შესაფერისად. პეიზაჟისა და პორტრეტის შესასრულებლად გამოყენებულია 320 სხვადასხვა ფერად შეღებილი აბრეშუმი.

ხალიჩა მოქსოვეს მარო წიკლაურმა, როზა ლუდუშაურმა, ლუბა კორძაძემ, თამარ ელისაშვილმა, ნატო წამალაშვილმა, რუსუდან გეთიაშვილმა, ვიქტორ და პავლე სალარიძეებმა, კლავდია ნეფედევამ, ლ. აგარონიანმა და ანა ზალცმანმა. მქსოველებს ხელმძღვანელობდა მხატვარი ანა გოდერძიშვილი. ესკიზის მიხედვით დეტალები ფერებით დაამუშავეს მხატვრებმა დ. ციციშვილმა და ნ. გომელაურმა. საღებავების დამზადებაზე იმუშავეს ინჟინერმა ვ. ჩიქოვანმა, ლაბორანტმა ნ. ბერძნიშვილმა და ქიმიკოსმა ქ. ახობაძემ, რომლებიც ამასთან თვალყურს ადევნებდნენ ფერთა შეხამებას და ქართული ორნამენტირების სიზუსტის დაცვას.

**სურათზე:** თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივის მიერ გაგზავნილი ხალიჩა — საჩუქარი ბელადს, ჭაბუკობის გასახსენებლად.

## ლამპარი

გორში, ბელადის სახლში დგას ძველი, პატარა ლამპა. ეს ლამპა უნათებდა გორის სასწავლებლის პატარა მოწაფე — სოსო ჯუღაშვილს.

მაგიდაზეა ძველი ლამპარი, —
ნათელფრთიანი უცხო ფრინველი.
ხალხში დარჩება, როგორც ზღაპარი,
მისი ამბავი გასაკვირველი.

როცა ჭალები, დიდი ჭალები
ეჯიბრებოდნენ სხივნათელ მთვარეს,
დარბაზებს ფერად შუქში ახვევდნენ,
უხვად აფრქვევდნენ ბროლმინანქარებს,

არვის ახსოვდა მისი სახელი,
ჩუმად ბრწყინავდა ქოხის კუთხეში,
როგორც ოცნება თვალგანახელი,
როგორც მოწაფის დიდი ნუგეში.

მის შუქნათელში ეჭირა წიგნი
და ღამეებმა შორს გადირბინეს.
მის შუქნათელში ხვდებოდა იგი
ილიასა და ყაზბეგის გმირებს.

წიგნს უნათებდა ფერმკრთალი სხივი,
ეუფლებოდა ბუნების ენას,
ხან ყურს უგდებდა შვლის ნუკრის ჩივილს,
ხან თერგის მღვრიე ტალღების დენას.

ხან ყურს უგდებდა—ქართლში, სერებზე,
როგორ ღელავენ ქარში ყანები,
ხან კითხულობდა, როგორ შელეწეს
ქაჯეთის ციხის შავი კარები.

გარშემო მწუხრი ეხურათ ქედებს
და ქართვლის ძილში ისმოდა კვნესა.
ლამპარის შუქზეც, ხალხის შავ ბედზე
მოსთქვამდა წიგნი ნაღვლიან ლექსად.

ბევრჯერ უქია კაკოს მარჯვენა,
მისი ფეხმარდი ცხენის ნავარდი.
ბევრჯერ წიგნიდან თვითონ არსენამ
გადმოახურა მხრებზე ნაბადი.

და როგორც მარად სანატრელ დღეთა,
მომავალ ნათელ დღეთა მაყარი,
ყოველ საღამოს სულ გვერდით ედგა
სხივანთებული ძველი ლამპარი.

. . .

ბრძოლით, გუგუნით წავიდნენ წლები...
ლამპარო, ალბათ, გემახსოვრება,
შენ ვისაც მკრთალად წიგნს უნათებდი,
მან გაგვინათა მთელი ცხოვრება.

მომავალს მისი თვალით ვუცქერით,
ის მზეა, მზეზე უფრო დიადი,
შენ გაუნათე წიგნის ფურცელი,
მან გაანათა ქვეყნის წყვდიადი.

დე, შენი ბედი შეშურდეთ ჭალებს,
ხალხში დარჩები, როგორც ზღაპარი,
და გაანათებ დროთა ვრცელ თაღებს
ერთი პატარა, ძველი ლამპარი.

**იოსებ ნონეშვილი**

## სიყვარულით, აღტაცებით

ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, ქართველი მხატვრების მნიშვნელოვანი წარმატებაა როგორც ღრმა იდეურობის, ისე მხატვრული ოსტატობის მხრივ. ამ გამოფენის ღირსება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მრავლადაა წარმოდგენილი ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის ნამუშევრები როგორც ფერწერის, ისე ქანდაკებისა და გრაფიკის დარგში.

პირადად ჩემთვის დიდი სტალინის სახე მუდამ შთაგონების უშრეტი წყაროა. ბრძენი ბელადის ღირსეულად წარმოსახვა მთელი ჩემი ცხოვრების უდიდესი ოცნებაა. მრავალი წლის განმავლობაში გატაცებით და სიყვარულით ვმუშაობდი ამ პასუხსაგებ თემაზე.

ჩემი სურათი „ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია და ა. ი. მიქოიანი შავი ზღვის სანაპიროზე", რომელიც გამოფენილია მოსკოვში 1949 წლის საკავშირო გამოფენაზე, კაცობრიობის დიდი გენიოსის ი. ბ. სტალინის წარმოსახვაზე მრავალი წლის მუშაობის ერთ-ერთი ეტაპია.

**უჩა ჯაფარიძე**
სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი



ი. ბ. სტალინის ბიუსტი. ამოჭრილი ხეზე, ნ. ქუთათელაძის მიერ.

## შთაგონების წყარო

ხელოვნების მუშაკებისადმი სტალინური მზრუნველობის შედეგად საქართველოში აღიზარდნენ ბალეტის ნიჭიერი კადრები. შექმნილია მტკიცე საფუძველი ქართული ეროვნული საბალეტო ხელოვნების აღმავლობისათვის.

ყველა ახალ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, მუდამ თვალწინ გვიდგას დიდი სტალინის ნათელი სახე, ის შთაგვაგონებს დავძლიოთ ყველა სიძნელე და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

უკანასკნელი ჩემი ნამუშევარია ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. თორაძის ახალი ორიგინალური ბალეტის „არმაზის ციხის" დადგმა. ამ ნაწარმოების დედააზრია ბრძოლა სამშობლოსათვის, ბრძოლა ბნელი ძალების წინააღმდეგ, გამარჯვება ბნელ ძალებზე.

სპექტაკლი ნაჩვენები იქნება 25 დეკემბერს დიდი სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ დეკადაზე, რასაც აწყობს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი.

**ვახტანგ ჭაბუკიანი**
სტალინური პრემიის ლაურეატი

## ბედნიერებაა ემსახურო სამშობლოს

დიდი ბედნიერებაა ემსახურო თავისუფალ სამშობლოს, მილიონობით მშრომელ ადამიანს, რომლებიც უდიდესი ენთუზიაზმით აშენებენ კომუნიზმს.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი მომენტია ხალხთა დიდ ბელადთან ამხანაგ სტალინთან შეხვედრა. 1936 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით, წილად მხვდა ბედნიერება მეც ვყოფილიყავი საქართველოდან მოსკოვს წარგზავნილთა შორის.

ამ ბედნიერმა შემთხვევამ ახალი შემოქმედებითი აღფრთოვანება და ენთუზიაზმი გამოიწვია ჩემში და შესაძლებლობა მომცა განმესახიერებინა ქართველი საბჭოთა ქალების ტიპები. ამ პერიოდის ჩემმა მუშაობამ საბჭოთა საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წვლილი შემაქვს საბჭოთა ხელოვნების დიად საგანძურში, იმ ხელოვნებისა, რომლის შთამაგონებელია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

**ნატო ვაჩნაძე**
სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

## ჩვენი ეპოქის მეცნიერება

დიად სტალინურ ეპოქას აქვს შესაფერისი მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია არა მარტო ახსნას სამყარო, არამედ გარდაქმნას კიდეც იგი.

საბჭოთა მეცნიერება სტალინური სტილით მუშაობს. ამ სტილისათვის დამახასიათებელია ზოგად თეორიულ სამუშაოთა შეხამება პრაქტიკულ საკითხებთან, მეცნიერ მუშაკთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ადამიანებთან.

დიდი სტალინის მზრუნველობით საბჭოთა მეცნიერება სულ ახალ და ახალ წარმატებას აღწევს. მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ბუნებაზე დაკვირვება, მისი შესწავლა და სიმდიდრეთა აღრიცხვა უმაგალითო მასშტაბით წარმოებს.

საბჭოთა ხალხი საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენებისა და გამოკვლევების გამოყენებით წარმატებით ახორციელებს გრანდიოზულ სტალინურ გეგმებს, აშენებს ახალ ქალაქებს, უდიდეს და ულამაზეს ნაგებობებს, იყენებს მდინარეთა ენერგიას, აშრობს ჭაობებს, ჰავას სცვლის, ტყეების თვალუწვდენი ახალი ზოლების გაშენებით და არხების გაყვანით უდაბნოებს აყვავებულ ბაღნარად აქცევს.

საბჭოთა ადამიანი გარდაქმნის და იმორჩილებს ბუნებას, შემოქმედებითს შრომაში თვითონაც იზრდება და ვითარდება.

ბედნიერია ჩვენი თაობა, რომელიც ცხოვრობს დიად სტალინურ ეპოქაში!

მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლე ჩვენს საყვარელ, მშობლიურ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს სადიდებლად.

**რ. აგლაძე**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

## მასწავლებელთა არმია გაამართლებს ბელადის ნდობას

ჩვენი ხალხის ისტორიის საბჭოთა პერიოდი მისი ცხოვრების ყველა მხარის უდიდესი გარდაქმნების ხანას წარმოადგენს. წარსულში სოციალური და ნაციონალური ჩაგვრით შებორკილი ქართველი ხალხის ნიჭსა და შემოქმედებას მხოლოდ ახლა, სტალინურ ეპოქაში მიეცა განვითარებისა და გამოყენების ფართო გზა.

საბჭოთა საქართველოს სახალხო განათლება უმაგალითო სისწრაფით იზრდებოდა და ვითარდებოდა მოძმე საბჭოთა ხალხების და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის სახალხო განათლებასთან ერთად.

სახალხო განათლების აღმავლობაში შესანიშნავი გამოვლინება ჰპოვა დიდმა კულტურულმა რევოლუციამ, რომელიც განუყოფელია კომუნისტური საზოგადოების შენების საქმისაგან. ახასიათებდა რა კულტურული რევოლუციის უდიდეს ამოცანებს, პარტიის მე-18 ყრილობაზე ამხანაგი სტალინი პირველხარისხოვან როლს ანიჭებდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებას.

საბჭოთა საქართველოში საყოველთაო სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში მთლიანად გატარებული იყო ჯერ კიდევ პირველ სტალინურ ხუთწლედში. სტალინური ხუთწლედების მანძილზე ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოში სახალხო განათლებამ გრანდიოზული წარმატებანი მოიპოვა; აგებულ იქნა ორი ათასზე მეტი ახალი სასკოლო შენობა, განხორციელდა არა მარტო ოთხწლიანი პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლება, არამედ ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი უკვე სწავლობს სოფლად არასრულ და ქალაქად სრულ საშუალო სკოლაში. ჩვენი რესპუბლიკა დაიფარა სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ხშირი ქსელით, სამეცნიერო და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე სახალხო მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ, მშრომელი მოსახლეობის საარსებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებამ, სწრაფი ნაბიჯით წასწია წინ სახალხო განათლებისა და საერთოდ კულტურული მშენებლობის საქმე. ეს იყო წლები სასკოლო ქსელის და მოსწავლეთა რიცხვის გიგანტური ზრდისა, რომელსაც თან ახლდა პედაგოგიური კადრების თვალსაჩინო ზრდა და სკოლის ნივთიერი ბაზის განმტკიცება. 1940 წლისათვის საქართველოში მარტო ზოგადი განათლების სკოლების რიცხვმა ოთხი ათასს გადააჭარბა და მოსწავლეთა საერთო რიცხვმა 750.000-ს მიაღწია. დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაფერხა ჩვენი სკოლის აღმავლობა, კერძოდ საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმე. სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, დიდი სტალინის განსაკუთრებული ყურადღების შედეგად, ჩვენმა სკოლამ მალე მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. დაიწყო ახალი, მძლავრი აღმავლობა სახალხო განათლების საქმეში. სკოლის ცხოვრებაში გატარდა მთელი რიგი უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებანი. შემოღებულია ქალ-ვაჟთა ცალცალკე სწავლება, განმტკიცდა სასკოლო შინაგანაწესი, შემუშავდა მოსწავლეთა ქცევის წესები, დადგენილ იქნა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემა, შემოღებულ იქნა გამოცდები სიმწიფის ატესტატზე და დაწესდა განსაკუთრებით წარჩინებულთათვის ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება სახელმწიფო ასიგნობანი სახალხო განათლებაზე. მარტო საქართველოში სახალხო განათლებაზე ყოველწლიურად იხარჯება საშუალოდ ერთი მილიარდი მანეთი.

1946-47 წელს საქართველოს სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საკავშირო მთავრობამ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა ზოგადი განათლების საშუალო სკოლაში სწავლების თერთმეტწლიანი კურსის დაწესების შესახებ. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნა ჩვენი სკოლის მუშაობისათვის; შესაძლებელი გახდა სასწავლო გეგმების უკეთ შედგენა სასწავლო პროგრამების შეუკვეცავად და საფუძვლიანად დამუშავება და რაც მთავარია, რუსული ენის საათების მნიშვნელოვნად გადიდება ქართულ სკოლაში. ნაციონალური სკოლისათვის თერთმეტწლიანი სწავლების უპირატესობანი მთელი სიცხადით დაადასტურა საქართველოს სკოლების სამი წლის გამოცდილებამ.

საბჭოთა მასწავლებელზე სტალინური ზრუნვის ბრწყინვალე გამოხატულებაა საბჭოთა მთავრობის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება მასწავლებელთა ხელფასების გადიდების, გაზრდილი პენსიების შემოღების, მთელ რიგ უფლებრივ-მატერიალურ უპირატესობათა დაწესებისა და უმწიკვლო პედაგოგიური შრომისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

სახალხო მასწავლებელთა არმია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდი არმიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით და გაზრდილი პასუხისმგებლობით უპასუხებს მასწავლებლობა მისდამი დიდი ბელადის ამ ზრუნვასა და ნდობას.

საქართველოში ამჟამად 4.240 ზოგადი განათლების სკოლაა, ამათში 2.263 დაწყებითი, 1.303 რვაწლიანი, 674 საშუალო; ამ სკოლებში მუშაობს 41.282 მასწავლებელი; ზოგადი განათლების სკოლების რიცხვს უნდა დაემატოს სხვადასხვა სპეციალური ტექნიკუმებისა და სასწავლებლების ფართო ქსელი. რესპუბლიკის სიამაყეა ოცი უმაღლესი სასწავლებელი თავისი მრავალრიცხოვანი ფაკულტეტებით, მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და სხვ.

800.000-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლის სურვილით აღგზნებული, ყოველდღიურად შეაღებს რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი სკოლების, ტექნიკუმების, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის კარებს, ეუფლება მეცნიერებას კეთილმოწყობილ სასწავლო დარბაზებსა, ლაბორატორიებსა და აუდიტორიებში, ახორციელებს სტალინური კონსტიტუციით დადგენილ საბჭოთა მოქალაქის უფლებას განათლებაზე.

ზოგადი განათლების ფართო ორგანიზაციამ დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა საქართველოს საერთო კულტურულ-სამეურნეო აღმავლობას: ყოველწლიურად რესპუბლიკის მუშათა კლასს, საკოლმეურნეო გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას დიდი რაოდენობით ემატება კულტურული, კვალიფიციური კადრები, ფართოვდება უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების ბაზა.

მარტო რაოდენობრივი ზრდა როდია დამახასიათებელი ჩვენი სკოლის განვითარებისათვის. მკვეთრად გაუმჯობესდა სწავლისა და აღზრდის საქმე.

საბჭოთა მასწავლებლობას კარგად აქვს შეგნებული სტალინური ეპოქის ღირსეული თაობის აღზრდის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს დიდი ბელადის ნდობა, ნდობა იმ ადამიანისა, ვის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს გიგანტური წინსვლა, სახელოვანი წარსული და ბრწყინვალე მომავალი.

**ვ. კუპრაძე**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

## ხელოვნების აყვავებისათვის

მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერის კულტურისა თუ ხელოვნების ბრწყინვალე აყვავება.

სტალინური მზრუნველობით გარემოსილთ, საქართველოს ხელოვნების მუშაკებს, შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი ხელოვნება მსოფლიოს ფართო აუდიტორიის წინაშე გვეჩვენებინა.

ყველგან, სადაც კი საგასტროლოდ იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი, — გერმანიასა თუ დანიაში, პოლონეთსა თუ რუმინეთში, უნგრეთსა, ფინეთსა თუ ავსტრიაში, აღტაცებით გვხვდებოდნენ მშრომელთა მრავალათასიანი აუდიტორიები, როგორც მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ავანგარდში მებრძოლი ქვეყნის წარმომადგენელთ.

უცხოეთის პრესა, რომელიც ფართოდ აშუქებდა ანსამბლის გასტროლებს, განსაკუთრებით აღნიშნავდა მცირე ერებისადმი უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, მათი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის უდიდეს მზრუნველობას საბჭოთა კავშირში.

ყოველი კონცერტის შემდეგ, სადაც უნდა ჩაგვეტარებინა იგი, მაყურებლები ერთსულოვანი გატაცებით ფეხზე ამდგარი მღეროდნენ „ინტერნაციონალს" და აღტაცებით გაიძახოდნენ — „გაუმარჯოს სტალინს!"

**ილიკო სუხიშვილი**
**ნინო რამიშვილი**
სტალინური პრემიის ლაურეატები, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელები

## დღეგრძელობა ბელადს

შორეული ამბავი, გუშინდელი დღის მოგონებასავით ნათელი, მრავალმხრივ დაუვიწყარი. გორის სასულიერო სასწავლებელი 1889-1894 წლებში... ამ სასწავლებელში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ერთი შუატანის, ოდნავ ფერმკრთალი, მიმზიდველი სახის გამომეტყველების ყმაწვილი, შედარებით ნაზი აგებულებისა, მაგრამ მეტად ცოცხალი, დინამიკური. ეს იყო სოსო ჯუღაშვილი.

სოსო ერთი კლასით ჩემზე წინ იყო. მიუხედავად ამისა, ძლიერ ვმეგობრობდით. მასთან ხშირად დავიარებოდი ბინაზე. მახსოვს გორში, ყოფილი სემინარიის ქუჩის შესახვევში პატარა სახლი. ღარიბად მოწყობილი პატარა ოთახი. კუთხეში ტახტი. იქ ვსხდებოდით, ვკითხულობდით, ვბაასობდით...

სოსო იყო გამბედავი, მტკიცე ხასიათის, საკუთარ ძალაში დარწმუნებული ახალგაზრდა. მას უყვარდა ჰუმორი. სწავლაში უბადლო, არაჩვეულებრივი ნიჭი და მუყაითობა; მახვილი, სალი გონება, საოცარი მეხსიერება, — აი მისი ზოგი დამახასიათებელი თვისება.

სოსო ბევრს კითხულობდა, ნაკითხობითა და განვითარებით ის მკვეთრად ირჩეოდა ტოლ-ამხანაგებში. არ სჯერდებოდა სასწავლებლის ბიბლიოთეკის წიგნებს. სასწავლებლის გარეთ შოულობდა საკითხავ წიგნებს, ქართველ და რუს კლასიკოსთა ნაწარმოებთ. უდავო ნიჭი ჰქონდა მას სიმღერაში, ხატვაში. მის სიმღერას აღტაცებაში მოვყავდით, მისი ნახატები განცვიფრებას იწვევდა. სოსოს იშვიათად თუ სჯობნიდა ვინმე სპორტში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოსო იყო მეტად თავმდაბალი ახალგაზრდა. დიდად აფასებდნენ და უყვარდათ იგი მოწინავე პედაგოგებს და ტოლ-ამხანაგებს.

თბილისის სასულიერო სემინარიაში სოსო შევიდა ჩემზე ერთი წლით ადრე. აქ სოსომ მალე აუღო ალღო ღვთისმეტყველების სიყალბეს და ჭეშმარიტი მეცნიერების შესწავლას დაეწაფა. იგი გულმოდგინედ შეუდგა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების შესწავლას. მარქსიზმის რევოლუციური თეორიით შეიარაღებული სოსო ჯუღაშვილი სათავეში ჩაუდგა თბილისის მუშათა მოძრაობას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამისათვის იგი სემინარიიდან გარიცხეს...

ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო მას შემდეგ. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ცვლილებანი მოხდა. მეფისა და კაპიტალისტების ძალაუფლება დაემხო. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება...

სტალინის სიყრმის ტოლ-ამხანაგები სიამაყით შევყურებთ დიდ ბელადს, რომელმაც ჩვენი ხალხი წაიყვანა უმაგალითო გამარჯვებათა გზით.

უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრჯერ მიფიქრია: ნეტავი იმ ყრმობის ამხანაგს, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა კვლავ შეხვედროდა დიდ ბელადს. 1946 წელს სრულიად მოულოდნელად ეს ჩემი ნატვრა შესრულდა...

მაგონდება დაუვიწყარი მგზავრობა თბილისიდან სოჭამდე.

სოჭი!

შეხვედრა!..

ახალგაზრდა სოსოს მაგიერ — თმაშეჭაღარებული ბელადი!.. ნაცნობი ღიმილი... სახის ნაკვთებში შორეული სიჭაბუკე.

უბედნიერესი დღეები სამშობლოს დიდებასთან!..

რა მომხიბლავი სისადავე და გულისხმიერება, რა საოცრად ღრმა ანალიზი მოვლენებისა!

ძალები შემემატა. შრომისა და სიცოცხლის სურვილი გამიათკეცდა.

დიდება სტალინს!

ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე საყვარელ ბელადს.

**მ. წინამძღვრიშვილი**

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სა. ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

## საბჭოთა ავიაციის უდიდესი მოამაგე

საბჭოთა ავიაციის უდიდესი წარმატებანი უშუალოდ დაკავშირებულია ბრძენი ბელადის დიდი სტალინის სახელთან. მისი მშობლიური მზრუნველობით შეიქმნა ჩვენი სამშობლოს მძლავრი და პირველხარისხოვანი სტალინური ავიაცია.

სამამულო ომი მრისხანე გამოცდა იყო მთელი საბჭოთა ხალხისათვის, განსაკუთრებით ჩვენი ავიაციისათვის. დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილებიც. გმირ მფრინავ წურწუმიას, ბენდელიანის, ლებანიძის და მრავალ სხვათა სახელებს არასდროს არ დაივიწყებს ხალხი.

სტალინი! უფრო ძვირფასი, უფრო ახლობელი სახელი არ არსებობს ჩვენთვის, ასობით მილიონი საბჭოთა ადამიანისათვის, მთელ მსოფლიოს მშრომელებისათვის!

სტალინი საბჭოთა ხალხის დიდების სიმბოლოა, იგი მოწოდებაა ახალი გმირული საქმეებისაკენ ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

სამამულო ომის ვრცელ ფრონტზე დიდი სტალინის სახელით ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით, დიდი სტალინის სახელით მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და იბრძვის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

სათუთად მაქვს შენახული საყვარელი სამშობლოს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი: მშობლიური ბელადის დიდი სტალინის 26 მადლობა!

საბჭოთა მფრინავები საფუძვლიანად სწავლობენ სტალინური ავიაციის მდიდარ გამოცდილებას, ღრმად ეუფლებიან სამხედრო ტექნიკას.

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს სტალინური შევარდნები შეხვდნენ ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

დიდება საბჭოთა ავიაციის უდიდეს მოამაგეს დიდ სტალინს!

სტალინი ჩვენი დროშაა!

სტალინი ჩვენი ბედნიერებაა!

**ოთარ ჩეჩელაშვილი**

საბჭოთა კავშირის გმირი



ი. ბ. სტალინის გამოსვლა ბოლშევიკების სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციაზე

მხატვარ ვ. ვლადიმირსკის სურათიდან (საკდესის ფოტოქრონიკა)

## შთაგონების მომმადლებელი

როდესაც ზღვას ან მთას მიადგები, დიდია შთაბეჭდილება.

შეუვალია და მიუწვდომი.

მაგრამ ნელ-ნელა შეიძლება შეუდგე შესწავლას და, თუ სულ ვერ ჩასწვდი ან მიწვდი მათს ბუნებას, შეძლებისამებრ მაინც გაიგებ, გაეცნობი და მათგან აღფრთოვანებული, თუ ხელოვანი ხარ, იწყებ შემოქმედებას.

ასევე ძნელია დიდი ადამიანის ასახვა.

აქ ხომ შეუსწავლელად კალამს ვერ დასძრავ, ფუნჯს ვერ მოიქნევ, საჭრეთელს ვერ მოიხმარ.

დიდი სტალინი ხომ ზღვაა სიბრძნისა, მთაა სულიერი ახოვნებისა. მისი ღვაწლი, ეს ხომ უდიდესი სახელმწიფოებრივი შემოქმედებაა, განმტკიცებაა ხალხთა სამართლიანი ცხოვრებისა, მუდმივი ზრუნვაა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

და განა ჩემ სუსტ კალამს შეუძლია თუნდაც მხოლოდ აღნუსხოს ყველა მისი მაღალი თვისება?

თუმცა რომელი ხელოვანია ისეთი, რომ დიდი ბელადის პიროვნება თავის ფიქრთა საგნად არ გაეხადოს, არ დაბადებოდეს სურვილი — თავისი მხატვრული ნაწარმოები შეამკოს ამ დიდი ადამიანის ხსენებით თუ გამოხატვით.

სტალინი ხელოვანთათვის არის დიდი შთაგონების მომმადლებელი.

ყველას უნდა ამ დიდი სახელის შარავანდედი დასციმციმებდეს მის ნაწარმოებს.

ასეთ მსურველთ შორის მეც ვურევივარ.

ასეთი კადნიერი ზრახვა დიდხანს მედო გულში, მაგრამ ვყოყმანობდი, სანამ ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა შვილმა ლავრენტი ბერიამ არ გამამხნევა და არ გამაბედვინა.

მეც, დაყრდნობილმა მის შესანიშნავ ისტორიულ ნაშრომზე, გავბედე ხელი მომეკიდა დიდი ტილოს შექმნისათვის დრამატურგიაში და მოკრძალებით, შეძლებისამებრ, გამოვსახე მხოლოდ ერთი ეპიზოდი სტალინის ცხოვრებისა.

ეტყობა ნაწარმოებმა გამოცდა დაიჭირა, რადგანაც პიესა „ნაპერწკლიდან“ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცილდა და ამჟამად იდგმება ლენინგრადში, ტაშკენტში, ლვოვში, კიევში, დაღისტანში...

ამით ბედნიერი ვარ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა.

ერთხელ ვწერდი:

მინდა რომ კვლავ მას დავუბრუნდე, მასზე ვიფიქრო, ვინც არა ერთხელ ჩემთა ფიქრთა საგნად ყოფილა!

დღესაც ამითი ვსულდგმულობ.

**შალვა დადიანი**

## ბოლშევიკური კადრების მძლავრი სამჭედლო

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — ბოლშევიკური კადრების აღზრდის მძლავრი კერა, — იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის საერთო განვითარებასთან ერთად.

1921 წელს უნივერსიტეტში იყო ერთი ფაკულტეტი და 50-მდე პროფესორ-მასწავლებელი. ამჟამად უნივერსიტეტში 12 ფაკულტეტია, სადაც სწავლობს 5 ათასზე მეტი სტუდენტი და მუშაობს 550-მდე პროფესორ-მასწავლებელი.

უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. მანვე მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების პირობები. უნივერსიტეტმა სამშობლოს 13 ათასზე მეტი სპეციალისტი მისცა.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ასობით სამეცნიერო შრომა სრულდება.

დიდი მუშაობაა გაწეული სახელმძღვანელოების შესადგენად. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1946-49 წლებში უნივერსიტეტის გამომცემლობამ მოამზადა და დაბეჭდა 100-ზე მეტი სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურა.

უნივერსიტეტს აქვს 47 ლაბორატორია, 56 სასწავლო კაბინეტი, მეტეოროლოგიური სადგური, პლანეტარიუმი, 4 მუზეუმი, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა 800 ათასი ტომით, საკუთარი სტამბა და სხვა.

მტკიცედ დამკვიდრდა უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიების პრაქტიკა. მაღალ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე ჩატარდა სამეცნიერო სესიები, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავის, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის X წლისთავისა და „კომუნისტური მანიფესტის“ 100 წლისთავისადმი.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ მეცნიერი მუშაკები იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. სამეცნიერო სესია ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკები, დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით შთაგონებულნი და აღზრდილნი, მეცნიერების ახალ მწვერვალებს იპყრობენ.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა უხელმძღვანელოს კადრების მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა მიერ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლებას. ამ ამოცანის შესასრულებლად იგი ფართოდ იყენებს პარტიული პროპაგანდის მდიდარ გამოცდილებას და მთელ თავის საქმიანობას წარმართავს იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე.

ჩვენს იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების პროპაგანდამ ფართო ადგილი დაიკავა. მიჩურინული აგრობიოლოგია წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მდიდარი პრაქტიკის მეცნიერულ განზოგადებას, აღმოცენებულსა და განვითარებულს მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების პროპაგანდასთან ერთად წინ სწევს მეცნიერების ამ დარგს და ფართოდ ნერგავს მის მონაპოვართ საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

სამეცნიერო შემოქმედებითი დისკუსიები, რომელთაც კათედრები და ფაკულტეტის საბჭოები აწყობენ რექტორატისა და პარტიული კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, ხელს უწყობენ კადრების მეცნიერული კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად მათი პოლიტიკური ცოდნის ამაღლებას. უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები მტკიცედ იცავენ საბჭოთა მეცნიერების იდეურ სიწმინდეს და ბოლშევიკურ პარტიულობას.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენენ მასობრივი პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა: მხატვრული და ლიტერატურული შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან, გმირებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან. მხატვრული ნაწარმოებებისა და თეატრალური დადგმების საჯარო განხილვა, ექსკურსიები და კოლექტიური გასვლა ისტორიული ადგილების შესასწავლად და ხუთწლედის მშენებლობათა დასათვალიერებლად, რასაც უნივერსიტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები სისტემატურად აწყობენ.

ჩვენი უნივერსიტეტი დიდი სტალინის ძვირფას სახელს ატარებს. შევეცდებით მუდამ ვიყოთ ამ საპატიო სახელის ღირსი, მუდამ წარმატებით შევასრულოთ პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალება, აღვუზარდოთ სამშობლოს ყოველმხრივ მომზადებული ბოლშევიკური კადრები.

**გ. ბახტაძე**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი

## მთელ ძალებს მოვახმარ კოლმეურნეობის განმტკიცებას

ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ კოლმეურნეობათა შემდგომი აყვავებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდისათვის. სოფელმა სახე იცვალა. სოფლად გამრავლდნენ უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები. ჩვენი კოლმეურნეობის 180 წევრიდან ნახევარზე მეტი სტახანოველია. ჩვენს კოლმეურნეობას ჰყავს 7 სოციალისტური შრომის გმირი, 6 ლენინის ორდენოსანი, 3 წითელი დროშის ორდენოსანი და მრავალი მედალოსანი. პირადად მე ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მონიჭებული მაქვს სტალინური პრემიის ლაურეატობა და სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

როგორ შემეძლო წარმომედგინა, რომ მე, უღარიბესი გლეხი ქალი, ოდესმე ასეთ ბედნიერებას ვეღირსებოდი. დიდმა სტალინმა შეგვაყვარა შრომა, ვინაიდან შრომა სტალინურ ეპოქაში ღირსებისა და სახელის საქმეა. ქალი გადაიქცა დიდ ძალად კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის 80-მდე შრომისუნარიანი წევრი ქალიდან 70-მდე სტახანოველია, აქედან 12 ქალი მერგოლურია. მათ შორის ნახევარს სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვს მინიჭებული. პირადად მე ჩაის პლანტაციის მოსავლიანობა ჰექტარზე 25.000 კილოგრამამდე ავიყვანე, გეგმა კი 3.000 კილოგრამს ითვალისწინებს. წელს 1 დეკემბრამდე 1.066 შრომადღე გამოვიმუშავე. ასევე დიდი რაოდენობით გამოიმუშავეს შრომადღეები ბრიგადირმა გ. ყალიჩავამ, მერგოლურმა ვალენტინა ქარჩავამ, კოლმეურნეებმა ოლღა, შურა და აგრა ჭკადუებმა, თინა ყალიჩავამ, ალექსანდრა გაბელიამ, ვენერა ჯიჯელავამ და მრავალმა სხვამ.

ჩვენთან წელს თვითეულ შრომადღეზე განაწილდება 20 მანეთი ფულად და 3,5 კილოგრამი მარცვლეული. გასულ წელს მე პრემიის ჩათვლით მიღებული მაქვს 96 ათასი მანეთი და 6,5 ტონა მარცვლეული. წელს მარტო პრემიის სახით მერგება 22.950 მანეთი, ოლღა ჭკადუას—17.150, შურა ჭკადუას—16.870, აგრა ჭკადუას — 11.160, ხოლო თინა ყალიჩავას—10.910 მანეთი. ასეთი ქალები ჩვენთან ბევრია.

მხოლოდ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პირობებში გახდა შესაძლებელი ფართოდ გამოგვეყენებინა მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევები. ჩაის პლანტაციებს საუკეთესოდ ვუვლი. ჩაის ბუჩქების მოვლა შევასწავლე მრავალ კოლმეურნე ქალს.

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით პირობას ვდებ მთელი ჩემი ცოდნა, უნარი, გამოცდილება მოვახმარო კოლმეურნეობის შემდგომ აყვავებას.

**ქსენია სარსანია**

სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მერგოლური.

## დიდება საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედს

საკოლმეურნეო წყობილება შესაძლებლობას ქმნის ფართოდ გამოვიყენოთ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევები. დაუღალავი შრომის შედეგად ჩვენს კოლმეურნეობებს უხვი მოსავალი მოჰყავთ. აგრონომები უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან. ჩვენი შრომა დიდად ფასდება. დატოტვილი ხორბლის გამრავლებისა და სოფლის მეურნეობაში დანერგვისათვის წელს სტალინური პრემიის ლაურეატობა მომენიჭა.

კოლმეურნეობაში პრაქტიკული მუშაობით დიდ წარმატებას მივაღწიე. ჩემს მიერ დათესილმა პირველმა 37 ხორბლის მარცვალმა გამარჯვება მარგუნა. გამოვიყვანე კახური დატოტვილი ხორბალი. იგი ფართოდ ვრცელდება მთელ საქართველოში. ამაზე როდი შევჩერდი. ველური ჭვავის თესლი შევუჯვარე ადგილობრივს და მივიღე გაუმჯობესებული ჯიში. ჰექტარზე ახალი ჯიშის მოსავლიანობამ 25 ცენტნერს მიაღწია. მისი კარგი თვისება ისიც არის, რომ არ ავადდება.

ახლა განვაგრძობ მუშაობას სასელექციო პუნქტში. მაქვს 5 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი, დაკვირვებას ვახდენ 18 ჯიშის ხორბალზე. 1947 წლიდან ვმუშაობ მრავალტაროიანი ჰიბრიდული სიმინდის გამოყვანისათვის. ქართული ჯიშის სიმინდი შევაჯვარე „ტკაცუნას“ ჯიშთან. აქაც კარგ შედეგს მივაღწიე. მიღებულ ჰიბრიდს ახასიათებს მრავალტაროიანობა და იძლევა უხვ მოსავალს. მომავალ წელს მიღებულ ჰიბრიდს დავთესავ ნახევარ ჰექტარზე.

სამიოდე თვის წინათ მოსკოვში ვიყავი აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მიწვევით. იქ თავი მოვიყარეთ ყველა კუთხის წარმომადგენლებმა. ჩვენ გავეცანით ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საკავშირო აკადემიის მუშაობის შედეგებს. იქ ჩემი გამოცდილება კიდევ უფრო გავამდიდრე. ჩემს სასელექციო პუნქტში მაქვს იქიდან წამოღებული დატოტვილი ფეტვი. შეიძლება სიმინდისა და სხვა კულტურების დატოტვაც. ამ მიმართულებით განვაგრძობ მუშაობას. დატოტვილს დიდი უპირატესობა აქვს: იძლევა უხვ მოსავალს, ჰექტარზე საკმარისია 70-100 კილოგრამი თესლი, ნაცვლად დღემდე არსებული ნორმის—160-170 კილოგრამისა.

სიტყვას ვიძლევი გავამართლო ის ნდობა, რასაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი იჩენენ პარტია, მთავრობა და პირადად დიდი სტალინი.

ძვირფასი და საყვარელი სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი, ჩვენ მტკიცედ დავნერგავთ საკოლმეურნეო მინდვრებზე მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევებს.

მადლობა დიდ სტალინს საკოლმეურნეო წყობილების შექმნისათვის.

**სიმონ მახათელაშვილი**

სტალინური პრემიის ლაურეატი, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი

## ს ტ ა ლ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სანაპირო ქუჩა

## განახლებული კოლხიდის ქალაქი

ფაზისი! — ასე ეწოდებოდა ძველათ ფოთს — კოლხიდის ქალაქს. კოლხიდა არგონავტების მოგზაურობის შესახებ ფართოდ ცნობილი ლეგენდით წარმოდგენილია უმდიდრეს და ულამაზეს მხარედ, კოლხები კი—უძლიერეს ადამიანებად. დროთა ვითარებაში ზღვის მძლავრი მოწოლის გამო, კოლხიდის დაბლობი წყლის უმაგალითო ნაკადს წაულეკავს, რის შემდეგ ასეულ ათასობით ჰექტარზე დარჩენილა გაუვალი ჭაობები. ფოთში, ყულევსა და ჭალადიდში სასიარულო გზის გამონახვაც კი ძნელი იყო. ძნელი გახდა კოღოებისაგან თავის დახსნა. ადამიანები პირბადეაფარებული დადიოდნენ.

XIX საუკუნის დამდეგს ფოთი უბრალო სოფელს წარმოადგენდა. მას შერჩენოდა მხოლოდ ციხე-სიმაგრე, რომელიც 1575 წელს იყო აგებული. ჭაობმა ისე მოიცვა ფოთი, რომ სავაჭრო ბაზა ბევრჯერ გადაუტანიათ ყულევში. 1857 წელს ფოთში მოეწყო პატარა ნავსადგური, 1860-1871 წლებში დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა და ქალაქსაც ზრდა დაეტყო. ერთგვარი წარმატებანი მოიპოვა ფოთმა 1892 წლიდან, როცა ქალაქს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე. მის სახელთანაა დაკავშირებული ფოთის მშვენიერი დაგეგმვა, რომელიც ლენინგრადის დაგეგმვას წააგავს. მისი მოღვაწეობის დროს დაიწყო შავი ზღვით მარგანეცის გაზიდვა, ჭაობების დაშრობა, გაკეთდა ფოთიდან სუფსისაკენ მიმავალი გზა, დაარსდა ვაჟთა და ქალთა გიმნაზია და სხვ.

მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთი იყო. ფოთი მაინც დარჩა ჭაობში მომწყვდეული, ჩამორჩენილი. ასეთი იყო იგი უდღეური მენშევიკების ბატონობის დროსაც. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი კოლხიდისა და მისი ქალაქის — ფოთის აყვავება.

ბოლშევიკებმა ხელი მოკიდეს კოლხიდის ჭაობის დაშრობას. უპირველეს ყოვლისა, მათ მდინარე რიონის ნაპირები გაამაგრეს, კალაპოტში მოამწყვდიეს და მიმართულება შეუცვალეს. ახლა პალიასტომიდან ნიაღვრის მოწოლის საშიშროება აღარ ემუქრება ფოთს. გაჩაღდა ხიდებისა და გზების მშენებლობა. 1932 წლამდე კოლხიდის სამუშაოებზე 4.300 ათასი მანეთი დაიხარჯა და დაშრობილ იქნა 300 ჰექტარი ჭაობი.

1932 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია ქალაქ ფოთის ისტორიაში. მაშინ ფოთში ჩამოვიდა დიდი სტალინი. ხალხთა საყვარელმა ბელადმა მთელი რიგი ძვირფასი მითითებები მისცა ქალაქის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს კოლხიდის სამუშაოთა საუკეთესოდ წარმართვისათვის. ერთსულოვნად დაირაზმნენ ფოთის მშრომელები ამხანაგ სტალინის მითითებათა შესასრულებლად. დაიწყო ლაშქრობა კოლხიდისა და მისი ისტორიული ქალაქის — ფოთის შემდგომი აღორძინებისათვის. 1932 წლიდან 1936 წლამდე კოლხიდის ჭაობების დაშრობაზე დაიხარჯა 29 მილიონ მანეთამდე. კოლხიდის აყვავებისათვის სისტემატურად ზრუნავდა და ზრუნავს ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია. „1932 წელს ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა ფოთში და დაათვალიერა იგი. საჭიროა, რომ ამხანაგ სტალინის შემდეგი ჩამოსვლისათვის ქ. ფოთის სახემ, კოლხიდის სახემ განასახიეროს მის მითითებათა განხორციელება და გახდეს ბელადის შეხვედრის ღირსი",— თქვა ამხანაგმა ბერიამ 1936 წელს.

ყოველწლიურად ძლიერდებოდა მუშაობა კოლხიდის ჭაობების დაშრობისათვის. 1939-40 წლებში კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით ამოშრობილ იქნა 8.000 ჰექტარი. ამ ახალ მიწაზე დასახლდა 5 ათასზე მეტი კომლი. კოლექტიურმა შრომამ ჭაობს გამოსტაცა ნოყიერი მიწები, კოლმეურნეთა ოჯახებში შეიტანა ხვავი და ბარაქა.

ფოთელი კოლმეურნეები კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობენ. პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს აქვთ წყალსადენი, ელექტროსადგური, სკოლა, სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაღი და ბაგა, კლუბი, კინო. მათ მოჰყავთ სიმინდის უხვი მოსავალი.

კოლხიდა მოკლე ხანში დაიფარება ციტრუსების ბაღნარებით, ჩაის პლანტაციებით. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 20 ათასამდე ჰექტარი მიწის ათვისება, რის შემდეგ ამ მიწაზე 7 ათასამდე ახალი კომლი დასახლდება. ახლად ათვისებულ მიწებზე დაირგვება 22 ათასი ძირი მრავალწლიანი მცენარე: ევკალიპტი, კეთილშობილი დაფნა და სხვა. მარტო ციტრუსები 10.000 ჰექტარს დაიკავებს.

სავსებით განახლდა ფოთი. ახლა დამითაც რომ შეხვიდეთ ქალაქში, დღესავით კაშკაშებს ყველაფერი. ჩამოდიხართ რკინიგზის სადგურზე, დაადგებით ქალაქისაკენ მიმავალ გზას და თვალწინ გადაგეშლებათ ლამაზი სანახაობა: სადგურთან ფართო და მოასფალტებული მოედანი, ლენინის ძეგლი, გაზონები და ყვავილნარები, ქალაქში გადასასვლელი შესანიშნავი ახალი ხიდი, მწვანე ნარგავებითა და ფართო გზებით დამშვენებული.

მიდიხართ ქალაქის ცენტრისაკენ, სადაც წინათ უწესრიგოდ გაშენებული შენობები იყო. ახლა აქ გადაშლილია მოასფალტებული დიდი მოედანი. აქ დგას ხელოვნების შესანიშნავი ნამუშევარი, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მონუმენტი. ამ მოედნიდან ამაყად გადაჰყურებს ქალაქს ახალი შენობა ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრისა, რომელმაც წელს პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან".

ქალაქის ცენტრში, ამ მოედნის ირგვლივ იყრიან თავს ყველა მხრიდან მომავალი სწორი, მოასფალტებული, გაზონებით დამშვენებული ქუჩები, რომლებიც ღამით ელექტრონით არის გაჩირაღდნებული.

ქალაქში მუშაობენ მრეწველობის საწარმოები: გემთშემკეთებელი ქარხანა, წისქვილკომბინატი, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ლუდისა და ლიმონათის ქარხნები, ხორცკომბინატი, საავეჯო-სახერხი ქარხანა, პურკომბინატი. აქ არის კეთილმოწყობილი სასტუმრო, კულტურის სახლი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, რადიოკვანძი, პოლიკლინიკა, კინოთეატრი, ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი, ვაჟთა და ქალთა რამდენიმე სკოლა და მრავალი სხვა საწარმო-დაწესებულება. ფოთის სიამაყეა მისი ნავსადგური. ფოთელებს აქვთ შესანიშნავი იპოდრომი და სტადიონი.

ყველას სურს ინახულოს ქალაქის პარკი—ნაკრძალი. ამ პარკში ნახავთ ირმებს, რომლებიც კარგად შეგუებიან აქაურ პირობებს, საუკეთესოდ გრძნობენ თავს.

ყურადღებას იპყრობს ახალი ფოთის ტრანსპორტი. სადღაა ცხენის „კონკები". მათგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა. თუ ათეულობით წლის წინათ დიდი წვიმის დროს ქალაქში მოძრაობა ჩერდებოდა, ზოგან ცხენითაც ვერ გადიოდნენ და ნავებით დაცურავდნენ, ახლა ახალ ფოთში მოასფალტებულ მოედნებსა და ქუჩებში დაჰქრიან ავტობუსები, „მოსკვიჩები", „პობედები".

...ძნელია აღწერა ყოველივე იმისა, რაც 1932 წლის შემდეგ დღემდე გაკეთდა ახალი კოლხიდისა და მისი ქალაქის ფოთის გასამშვენიერებლად.

და ახლა კოლხიდელები, მთელი ქალაქი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის შესრულების აღსანიშნავად უდიდეს ენთუზიაზმს მოუცავს. ფოთელ მშრომელებს აღაფრთოვანებთ ის, რომ ამხანაგ სტალინის სახელთან არის დაკავშირებული ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამხანაგი ლ. ბერია თავის ნაშრომში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" ამბობს: „ამხანაგმა სტალინმა დისკუსია ჩაატარა აგრეთვე ფოთში და ჩამოაყალიბა ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაცია".

კოლხიდელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. ნავსადგურის, გემთშემკეთებელი ქარხნის, ტყემრეწვეურნეობის, ხორცკომბინატის, პურკომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივებმა, რომლებმაც წლიური გეგმები კარგა ხანია შეასრულეს, ახალი ვალდებულება იკისრეს, რათა წლის ბოლომდე ჩვენს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ასეულობით ათასი მანეთის პროდუქცია და ზეგეგმითი დაგროვება.

დიდი შრომითი აღმავლობაა კოლხიდაში, ახალი წარმატებებით ამაყობს ფოთი, რომელიც უახლოეს ხანში ერთ-ერთ ლამაზ ზღვისპირა ქალაქად გადაიქცა.

კოლხიდელები ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს უსურვებენ მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

**ნ. ჯანჯღავა**

## საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმი

ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, დღის 2 საათზე, გორის სახელმწიფო თეატრში გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს სიმონ ჩიქოვანი. მოხსენებებს წაიკითხავენ: ალ. გომიაშვილი — „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში"; გ. ნატროშვილი—„ამხანაგი სტალინი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების შესახებ"; ბ. ჟღენტი — „ამხანაგ სტალინის სახე რუსულ და სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურაში"; ი. აბაშიძე — „ამხანაგ სტალინის სახე დემოკრატიული ქვეყნების პოეზიაში".

## მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადისა და მეგობრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

### პოლონეთი

**ვარშავა,** 19 დეკემბერი. (საკდესი). მთელ პოლონეთში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

სტანისლავ მაგერის (შახტი „ბოლესლავ მამაცი") ბრიგადამ შეასრულა დიადი თარიღის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება, თვიური პროგრამა 14 დეკემბერს დაამთავრა და ქვანახშირის მოპოვებაში პოლონეთისათვის ახალი რეკორდი დაამყარა.

სილეზია-დომბროვის, ლოძის, ვროცლავის, პომორის, კრაკოვისა და ბელოსტოკის სავოევოდოების სამრეწველო საწარმოთა მუშები და ინჟინრები მხურვალედ გამოეხმაურნენ სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მოწოდებას და აქტიურად ემზადებიან სტალინური ვახტებისათვის. სტალინური ვახტების დღეებში მუშებმა ვალდებულება იკისრეს მნიშვნელოვნად გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

ვეჩორკას სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც პირველმა წამოაყენა ლოზუნგი — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს ახალი საწარმოო წარმატებით შევხვდეთო, შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. პავლე დოპტას და კონრატ ბულიას მოწინავე ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს — დეკემბერში თავისი ნორმა 300 პროცენტით შეასრულონ. ბრიგადირმა კონრატ ბულიამ, გარდა ამისა, იკისრა თავისი სამწლიანი საწარმოო ნორმა ორ წელიწადში შეასრულოს და ყველა პოლონელ მაღაროელს მოუწოდა მიჰბაძონ მის მაგალითს.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის ბევრ ქალაქსა და სოფელში გაიმართა საზეიმო კრებები, მიძღვნილი მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი მასწავლებლისა და ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

ვარშავაში დედაქალაქის რადა ნაროდოვას დარბაზში შემდგარ საზეიმო კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ მინისტრმა სვენტკოვსკიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი დიდ მადლობას უძღვნის ი. ბ. სტალინს ომის წლებში პოლონეთის ბედისათვის მისი მზრუნველობის გამო, იმ დახმარებისათვის, რაც პოლონეთს გაუწია აღდგენის წლებში და რასაც ამჟამად უწევს. პოლონელი ხალხი,—თქვა სვენტკოვსკიმ,—არასოდეს არ დაივიწყებს, რომ ერთი თაობის სიცოცხლეში მან ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა ლენინისა და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, რასაც ბოლშევიკური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს.

საზეიმო კრებები ეწყობა კულტურის სახლებსა და წითელ კუთხეებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ. პოლონელი მშრომელები ყველგან ცხადყოფენ თავის სიყვარულსა და ერთგულებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

### რუმინეთი

**ბუქარესტი,** 19 დეკემბერი. (საკდესი). ყოველ დღე რუმინეთის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი საწარმოო წარმატების შესახებ.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადება აღინიშნება სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით. მაგალითად, გრივიცის (ბუქარესტის მახლობლად) რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა სოციალისტური შეჯიბრების შედეგად შეძლეს 100 ათასი სამუშაო საათი სპეციალური შეკვეთების შესრულებისათვის გამოეყენებინათ.

ბრაშოვის ფაბრიკა „პარტიზანულ როშუში" 1.584 მუშა ქალიდან შეჯიბრებაში ჩაბმულია 1.342 ქალი. წლიური გეგმა შესრულებულია დასახულ ვადაზე ხუთი დღით ადრე.

„ვალია ჟიულუის" ქვანახშირის აუზში 52 ბრიგადიდან 21 ბრიგადა უკვე 1950 წლის ანგარიშში მუშაობს.

ტეიშის „სოვრომპეტროლის" ნავთის მუშამ იონ ფალკუციანუმ გამოიყენა საბჭოთა მბურღავების მეთოდი და 6 თვეში 2 მილიონამდე ლეი დაზოგა. „ცინტიას" საწარმოს ნავთის მუშაკებმა 12 დეკემბრისათვის ორჯერ მეტი საბურღი სამუშაო შეასრულეს, ვიდრე ვალდებულებით იყო ნაკისრი. მორენის ნავთის მუშაკებმა კოშკურებზე მუშაობის საშუალედო დრო 4 საათიდან 2 საათსა და 35 წუთამდე შეამცირეს. მთელ რიგ სხვა გაუმჯობესებათა შედეგად № 405 კოშკურა 75 პროცენტით მეტ ნავთს იძლევა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

პეტრილას ქვანახშირის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს თავისი ვალდებულება — 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოეღოთ 20 ათასი ტონა ქვანახშირი. 17 დეკემბერს მათ უკვე ამოიღეს 20 ათასი ტონა, ხოლო 21 დეკემბრამდე კისრულობენ კიდევ ამოიღონ 9 ათასი ტონა.

საფეიქრო ფაბრიკა „პროლეტარში", სართავ ფაბრიკა „ინდუსტრია ბუმბაკულუიში", 23 აგვისტოს სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში, ლითონდამმუშავებელ ქარხანა „ინდუსტრია სირმეიში" და რუმინეთის ბევრ სხვა საწარმოში მატულობს იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც რამდენიმე დაზგის მომსახურებაზე გადადიან.

რუმინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირი აწყობს ქალთა მასობრივ კრებებს, ი. ბ. სტალინის ნაშრომთა კოლექტიურ კითხვას.

### ავსტრია

**ვენა,** 19 დეკემბერი. (საკდესი). ვენის პრესის პროგრესულ ორგანოებში ქვეყნდება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები. ამავე დროს გაზეთები აქვეყნებენ მისასალმებელ დეპეშებს ი. ბ. სტალინისადმი სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფკავშირის კომუნისტური ფრაქციისაგან, კომპარტიის პერგის რაიონული კომიტეტისაგან და სხვ.

აიზენშტადტის—ბურგენლანდის პროვინციის მთავარი ქალაქის — სათემო საბჭომ ი. ბ. სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენი ქალაქის მთელი მოსახლეობის სახელით უაღრესად გულითადად გილოცავთ თქვენი დაბადების 70 წლისთავს. საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის საკეთილდღეოდ თქვენს მოღვაწეობაში შემდგომი წარმატების მხურვალე სურვილს ვუერთებთ გულწრფელ მადლობას ფაშისტური უღლისაგან ჩვენი ქალაქის მოსახლეობის განთავისუფლებისათვის. არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ აიზენშტადტი იყო ავსტრიის პირველი ქალაქი, განთავისუფლებული იმ სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით იბრძოდა".

სანკტ-პელტენის მუშები ამხანაგ სტალინს სწერენ:

„ჩვენ, სანკტ-პელტენის მუშები, პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლას".

ჰოფბურგის სასახლეში შედგა ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის საღამო. შეკრებილებმა ამხანაგ სტალინს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი.

### მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

**ულან-ბატორი,** 19 დეკემბერი. (საკდესი). რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ავტომობილებითა და თვითმფრინავებით ულან-ბატორს ჩამოაქვთ რვეულები, რომლებიც შეიცავენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა ხელმოწერას დიდი სტალინისათვის მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მონღოლი ხალხის მიერ გაგზავნილ წერილზე. მთელმა მონღოლმა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო და მოაწერა ხელი ამ მისალმებას. კრებები და მიტინგები, რომლებზეც მიღებული და ხელმოწერილი იყო მისასალმებელი წერილი, გადაიქცა მთელი მშრომელი კაცობრიობის მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი მთელი მონღოლი ხალხის მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო მადლობისა და ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად.

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

**ბერლინი,** 19 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო ჰალედან იუწყება, წარმოება „ბუნა-ვერკეს" პროფკავშირულმა კომიტეტმა ხალხთა დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც 18 ათასი მუშა-მოსამსახურის სახელით საუკეთესო სურვილებს უთვლის მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

როგორც ერფურტიდან გადმოგვცემენ, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივმა ორგანიზაციამ ერფურტის საქალაქო დეპუტატთა კრების გაფართოებულ სხდომაზე შეიტანა წინადადება — ერფურტის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი.

საქალაქო კრების დეპუტატებმა ეს წინადადება მქუხარე ტაშით მიიღეს.

## საზეიმო სხდომა ჰელსინკში ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

**ჰელსინკი,** 19 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მოსუჰალის დარბაზში შედგა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრება მოაწყო ფინეთის კომუნისტურმა პარტიამ.

დარბაზში, რომელიც 8 ათასამდე კაცს იტევს, არიან მუშათა ორგანიზაციების, ინტელიგენციის, დემოკრატიული საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელნი.

მოხსენება — „ამხანაგ სტალინის მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა"—გააკეთა ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვილე პესიმ. თავის მოხსენებაში პესი შეჩერდა მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის იმ უდიდეს მიღწევებზე, რომლებიც ამ ბანაკმა მოიპოვა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. „ჩვენი საუკუნე,—თქვა პესიმ მთელი დარბაზის ტაშის გრიალში, — ლენინისა და სტალინის საუკუნეა". პესიმ დაწვრილებით დაახასიათა ამხანაგ სტალინის, როგორც ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორის, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის ხელმძღვანელისა და გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა არმიის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორის როლი.

საბჭოთა არმიის გამარჯვება ჰიტლერულ სამხედრო მანქანაზე, განაცხადა პესიმ, ამავე დროს იყო დემოკრატიული ფინეთის გამარჯვება და ხსნა. ჩვენ მხურვალე მადლობას ვუცხადებთ ამხანაგ სტალინს ფინელი ხალხისადმი მისი მუდმივი მეგობრული დამოკიდებულებისათვის. ჩვენ მივესალმებით ამხანაგ სტალინს — მშვიდობისათვის დიდსა და მტკიცე მებრძოლს, ლენინის მოწაფესა და მისი საქმის გენიალურ განმგრძობს ჩვენ, კომუნისტები, პირობას ვიძლევით, რომ მომავალშიც ვისწავლით იმ გამოცდილების მიხედვით, რაც მოეპოვება ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს. თავისი სიტყვის დასასრულს პესიმ დღეგრძელობა უსურვა ყველა ხალხის ბელადსა და ფინელი ხალხის საუკეთესო მეგობარს დიდ სტალინს, საბჭოთა და ფინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით მიესალმა ორატორის უკანასკნელ სიტყვებს.

მოხსენება თემაზე: „სტალინი—ხალხთა მშვიდობის დამცველი" გააკეთა ჰერტა კუუსინენმა. მოაგონა რა კრებას, რომ სწორედ მცირე ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სტალინური პრინციპის მეოხებით მიიღო ფინეთმა საბჭოთა სახელმწიფოსაგან თავისი დამოუკიდებლობა, კუუსინენმა აღნიშნა: საბჭოთა კავშირი ყოველთვის მიისწრაფოდა ფინეთთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ ნდობის საფუძველზე. მაგრამ ფინეთის ბურჟუაზია მრავალი წლის განმავლობაში ფუშავდა საბჭოთა კავშირის ამ მეგობრულ მისწრაფებას და, თავისი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ახორციელებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას.

მოხსენების დასასრულს კუუსინენმა დღეგრძელობა უსურვა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და სიტყვა დაამთავრა შეძახილით სოციალიზმის გამარჯვებისა და ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავად. კუუსინენს არა ერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა დამსწრეთა მქუხარე ტაშმა.

საზეიმო კრებამ ერთსულოვნად მიიღო მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

კრება დამთავრდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი

19 დეკემბერს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. შანიძემ.

მოხსენება თემაზე „ბელადის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში" გააკეთა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა მ. ჩიქოვანმა.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა იმ შესანიშნავ ლექსებზე, რომლებითაც ქართველი ხალხი უმღერის დიდ ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

სახალხო მგოსნები, აღნიშნა მ. ჩიქოვანმა, განსაკუთრებული გულწრფელობითა და უშუალობით ხატავენ დიდი ბელადის სახეს. მათი ცოცხალი სიტყვა, სადა და დახვეწილი სტილი რეალისტური პოეზიის შედევრებს ქმნის.

ხალხი ბელადის სახელს კომუნისტურ პარტიას არ აცილებს.

„პარტიას უძლევი გულდაგულ,  
უნარიცა გაქვს მოვლისა,  
შიში არ იცი, არწივო,  
როგორც მკათათვემ თოვლისა".

ქართველი ხალხი დაბადების 70 წლისთავზე საუკეთესო სურვილებს უძღვნის დიდ სტალინს:

„ათას წელიწადს იცოცხლე,  
ათასზე კიდევ მეტადა,  
შენი ღირსების სხივები  
სამშობლოს ედგას სვეტადა".

სამეცნიერო სესიაზე მოსმენილ იქნა მეცნიერებათა კანდიდატის ი. ბაჯაძის მოხსენება, თემაზე: „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა და საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება".

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა ლენინურ-სტალინურ ნაციონალური პოლიტიკის მნიშვნელობას მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების საქმეში, დაახასიათა საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ეტაპები.

ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა პ. გუგუშვილმა მოხსენება გააკეთა თემაზე — „სტალინური მოძღვრება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ". მომხსენებელმა გააშუქა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მნიშვნელობა, სტალინური მოძღვრების სიდიადე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხში და კოლმეურნეობების მიერ მოპოვებულ მიღწევათა საფუძველზე ნათელყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიდი უპირატესობა.

თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პ. შარია შეეხო „ზოგიერთ საკითხს ი. ბ. სტალინის მოძღვრებიდან ერის შესახებ" და მკაფიოდ გაარკვია მნიშვნელობა ამ დორგში დიდი ბელადის მეცნიერული მოძღვრებისა, რომელიც წარმოადგენს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საფუძველს.

სამეცნიერო სესიამ დიდი აღფრთოვანებით და მქუხარე ოვაციით მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ი. ვეკუამ.

სამეცნიერო სესიას ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. შადური და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ქვლივიძე.

* * *

გუშინ სამეცნიერო სესიაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის არნ. ჩიქობავას მოხსენება, თემაზე: „ენის პრობლემები ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომებში" და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ჩიტაიას მოხსენება, თემაზე: „ახალი ყოფა გორის რაიონის სოფელ თორტიზას ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში".

## კრებული „დიდ სტალინს"

დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე გამოსცა დიდი სტალინისადმი მიძ-




ღვნილი ქართველი პოეტების ლექსებისა და პოემების კრებული.

კრებულში შევიდა — ალ. აბაშელის, გრ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, შ. ამისულაშვილის, შ. აფხაიძის, კ. ბობოხიძის, ხ. ვარდოშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, დ. გაჩეჩილაძის, რ. გვეტაძის, ალ. გომიაშვილის, ვ. გორგაძის, ი. გრიშაშვილის, გ. ჯაბუშანურის, ვ. ჟურულის, კ. კალაძის, ა. კალანდაძის, გ. კაჭახიძის, ა. ქუთათელის, გ. ლეონიძის, ი. ლისაშვილის, რ. მარგიანის, მ. მიქელაძის, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, მ. მრევლიშვილის, ვ. ნადარეიშვილის, ი. ნონეშვილის, გ. ტაბიძის გ. ცეცხლაძის, ს. ჩიქოვანის, კ. ჭიჭინაძის, ს. შანშიაშვილის, გ. შატბერაშვილისა და ს. ეულის ლექსები და პოემები.

ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები შეასრულეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა და მთარგმნელებმა—ნ. ტიხონოვმა, ა. კოჩეტკოვმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ, ა. მეჟიროვმა, ს. შერვინსკიმ, ე. ანანიაშვილმა, ა. ტარკოვსკიმ, ე. დოლმატოვსკიმ, ვ. დერჟავინმა, ნ. ჩუკოვსკიმ, ს. გუძენკომ, ს. ლიპკინმა, ს. გატოვმა, რ. ივნევმა, ი. ოქსენოვმა, გ. ცაგარელმა, ბ. სერებრიაკოვმა, გ. კრეიტანმა, ნ. ჩხეიძემ, ლ. მარტინოვმა, ვ. პოტაპოვამ და ბ. კორნეევმა.

კრებულის რედაქტორები არიან: ა. აბაშელი, ბ. ჟღენტი, მ. ზლატკინი და ს. ჩიქოვანი.

წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დავით და ვლადიმერ ქუთათელაძეებს.

## ნორჩ პიონერთა შეკრება გორში

18 დეკემბერს ქალაქ გორში შედგა საქართველოს ნორჩ პიონერთა შეკრება, მიძღვნილი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ჭიათურის, მახარაძის, კასპის, ქარელის, ხაშურის, მცხეთის, თელავისა და ზუგდიდის პიონერთა დელეგაციებმა.

საზეიმო მწყობრით გაიარეს ქალაქის ქუჩებში პიონერებმა, რომელთაც გულთბილად ესალმებოდნენ გორელი მოსწავლეები.

უდიდესი აღფრთოვანებით და ინტერესით დაათვალიერეს პიონერებმა ისტორიული სახლი, რომელშიც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა, გამოფენის ექსპონატები, რომელნიც ასახავენ ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

გორის სახელმწიფო თეატრის საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების პრეზიდიუმში არიან გორის რაიონის სკოლების ფრიადოსანი მოსწავლეები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგი ა. კინწურაშვილი, მ. ჟორჟიკაშვილი, საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივნები ამხანაგები ლ. დოიჯაშვილი და რ. ბზიშვილი, პიონერთა დელეგაციების წარმომადგენლნი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი მ. ჟორჟიკაშვილი წარმოთქვამს პიონერთა დევიზს:

— ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

დარბაზი ერთად უპასუხებს—მზად ვართ!

შეკრებას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს ალკკ გორის რაიკომის მდივანი ამხანაგი რ. ბზიშვილი.

დარბაზში გაისმის საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

დამსწრენი შეკრების საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგებს კ. ნ. ჩარკვიანს და ნ. ა. მიხაილოვს. დარბაზში დიდხანს გაისმის ტაშის გრიალი და შეძახილები ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის პატივსაცემად.

პიონერთა შეკრებაზე დიდი სტალინის შესახებ მოგონებით გამოვიდა ძველი თბილისელი მუშა გრიგოლ პარკაძე.

სიტყვები წარმოთქვეს: გორის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლის პიონერმა ლილი გელდიაშვილმა, თბილისის პიონერთა დელეგატმა ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ნათელა ეგიკაშვილმა, გორის რუსული საშუალო სკოლის პიონერმა ილია ხარაულმა, სოხუმის ვაჟთა 1-ლი სკოლის მოსწავლემ კოკი გიგინეიშვილმა, ქუთაისელმა მოსწავლემ ნუნუ იოსელიანმა, ბათუმელმა ლიანა ფხაკაძემ, სამხრეთ ოსეთის დელეგატმა ირა ზანგიევამ და სხვებმა.

პიონერებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, გორის ქალთა მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგის ე. თარნიშვილის სიტყვა.

პიონერთა შეკრებაზე ყველა გამოსულთა სიტყვები გამსჭვალული იყო უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

შეკრების მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან წინადადებას—გაეგზავნოს მისალმება დიდ სტალინს.

ფეხზე ადგომით პიონერები მღერიან სიმღერას დიდ სტალინზე.

შეკრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 05632